პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 ოქტომბერი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 254 (14250)


## პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მისასალმებელი დეპეშა კოსმონავტ გ. თ. ბერეგოვოისადმი

ძვირფასო ამხანაგო გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად გილოცავთ ფრენის წარმატებით დაწყებას და დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე კოსმოსური ხომალდების მანევრირებისა და დაახლოების დავალების შესრულებას. მთელი ჩვენი ხალხი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს ფრენას. მაგრად გეხვევით და გისურვებთ მიწაზე მშვიდობით დაშვებას.

მშობლიურ მიწაზე შეხვედრამდე!

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

# საქართველოს ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს რესპუბლიკის კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს, ჩვენს მამაც მეომრებს, საბჭოთა საქართველოს მთელ ახალგაზრდობას სახელოვან იუბილეს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ, დიდი ოქტომბრის მემკვიდრეებს, გხვდათ უდიდესი ბედნიერება — დაბადებულიყავით, გეცხოვრათ და გეშრომათ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოში პირველმა აღმართა განთავისუფლებული შრომის დროშა, ქვეყანაში, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს. საბჭოთა ხელისუფლებამ ახალგაზრდობას მიანიჭა ფართო პოლიტიკური და სოციალური უფლებანი, გადაუშალა შემოქმედებითი შრომის, მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალთა დაუფლების, საზოგადოების საქმეთა მართვის უსაზღვრო შესაძლებლობანი.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, რომელიც დიდი ლენინის ინიციატივით შეიქმნა, პარტიის აქტიური თანაშემწე და საიმედო რეზერვი იყო და არის. ამრავლებს რა კომკავშირის საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, საბჭოთა ახალგაზრდობა თავისი თავდადებული შრომით განამტკიცებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

ლენინური კომკავშირის დაჯილდოება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით მკაფიოდ მოწმობს, თუ რა დიდად აფასებენ პარტია, მთავრობა და მთელი ჩვენი ხალხი იმ წვლილს, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობას შეაქვს ჩვენი ქვეყნის დიად მიღწევებში. დიდი პატივი ხვდა რუსთავის კომკავშირულ ორგანიზაციასაც, რომელიც დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჩვენ გვახარებს შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები აღწევენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. ვამაყობთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდა მშრომელთა სახელოვანი საქმეებით, რომლებიც შრომითი გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ მინდვრების ნაყოფიერების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ჩვენ დიდად ვაფასებთ წვლილს, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს, სპეციალისტებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეაქვთ რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. გვახარებს ჩვენი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა წარმატებანი, რომლებიც გულმოდგინედ ეუფლებიან ცოდნას, ემზადებიან იმისათვის, რომ გახდნენ ფართო გონებრივი ჰორიზონტის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ვამაყობთ ახალგაზრდა მეომრებით, რომლებიც ფხიზლად იცავენ სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრებს. დიდად ვაფასებთ იმ ახალგაზრდობის შრომას, რომელიც ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისა და ყოფის ყველა დარგში მუშაობს.

პარტია გვასწავლის, რომ ნამდვილი კომუნისტი, მშრომელთა ინტერესებისათვის მტკიცე მებრძოლი შეიძლება მხოლოდ მაშინ გახდე, თუ ღრმად დაეუფლები მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ მოძღვრებას. ახალგაზრდობა, კომკავშირელები კვლავაც ბეჯითად უნდა სწავლობდნენ დიად რევოლუციურ მეცნიერებას, უნდა გამოიმუშაონ კლასობრივი მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ კომუნისტური იდეებისა და კომუნისტური მორალის სიწმინდეს, იბრძოლონ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტია ასწავლის საბჭოთა ადამიანებს მოწიწებით სცენ პატივი იმათ ხსოვნას, ვინც თავისი სისხლითა და სიცოცხლით მოიპოვა და დაიცვა მშობელი ხალხის თავისუფლება, ვინც თავისი შრომით გაამშვენიერა და განადიდა ჩვენი მშობლიური ქვეყანა. ახალგაზრდობა, კომკავშირელები მამების რევოლუციური მემკვიდრეობის უსაზღვროდ ერთგული უნდა იყონ, მუდამ მზად იყონ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

პარტია მოუწოდებს კომკავშირს გააძლიეროს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, რაც ყოველთვის იყო მისი საქმიანობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი და დღესაც ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. თანამედროვე ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე, ამ უკანასკნელ თვეებში მსოფლიო მოვლენათა მსვლელობა მთელი დამაჯერებლობით მოწმობს, რომ საჭიროა განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს — სოციალიზმის, ყველა ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საიმედო ბურჯის ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა.

პარტია მიუძღვის ჩვენს ხალხს კომუნიზმისაკენ. თვითეული კომკავშირელი, თვითეული ახალგაზრდა უნდა იყოს აქტიური და მტკიცე მებრძოლი, ახალი საზოგადოების მშენებელი, ღირსეულად განაგრძობდეს ოქტომბრის დიად საქმეს, მაღლა ატარებდეს რევოლუციის უძლეველ დროშას, დიდი ლენინის დროშას.

ულოცავს რა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები კვლავაც იქნებიან სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს აღნიშნავენ ახალი პატრიოტული საქმეებით.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — ახალგაზრდობის მებრძოლ ავანგარდს, საბჭოთა ხალხის დიდებასა და სიამაყეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ და საიმედო თანაშემწეს!

დაე მარად ბრწყინავდეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა! გაუმარჯოს საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს — ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მზრუნველობით წარმართავს ახალგაზრდობის რევოლუციურ ენერგიას კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

### ლენინური კომკავშირის 50 წლისთავი



თბილისი. სპორტის სასახლე. 1968 წლის 28 ოქტომბერი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს

### რადიოგრამა კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3"-დან

მოვახსენებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

წარმატებით შევასრულე მანევრირება და კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-2"-თან მიახლოება. მხნედ ვგრძნობ თავს. მხურვალე მადლობას მოვახსენებ მშობლიური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ნდობისათვის. ფრენა პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ვასრულებ სამეცნიერო ექსპერიმენტებს. სისტემები საუცხოოდ მუშაობს. თავს ჩინებულად ვგრძნობ.

კოსმონავტი მფრინავი გ. ბერეგოვოი.

## კოსმონავტის გულითადი მადლობა

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3"-დან კოსმონავტმა ამხანაგმა გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოიმ გადმოსცა:

— გულითად მადლობას მოვახსენებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას გულთბილი მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა წარმატებით შევასრულო დავალება.

კოსმონავტი მფრინავი ბერეგოვოი

# პარტიავ, სამშობლოვ, უფრო დიდ საქმეებს გპირდება კომკავშირი!

### ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი

**ჭეშმარიტად** სასიხარულო დღეებია მთელ ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით აღნიშნავს ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, კომკავშირისა, რომელმაც მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა კავშირის გმირულ ისტორიაში. საბჭოთა კავშირის ორდენები ლენინური კომკავშირის ალისფერ დროშაზე აშკარა დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდად აფასებენ პარტია, მთავრობა და ხალხი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითს წვლილს ჩვენი სამშობლოს დიად მიღწევებში.

პარტიამ და მთავრობამ აღნიშნეს რა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დამსახურება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მამაცობა და გმირობა, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ლენინური კომკავშირი დააჯილდოვეს მეექვსე ორდენით — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სახელოვანი საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების ზეიმს დაემთხვა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი ტრიუმფი — მძლავრმა მატარებელ-რაკეტამ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3", რომელსაც მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე — კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული გამოცდილი მფრინავი, კომკავშირის აღზრდილი, პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი. ეს სიამაყით ავსებს ყველა საბჭოთა ადამიანის გულს. მათ ახარებთ საბჭოეთის მეცნიერთა თანმიმდევრული და მტკიცე მისწრაფება დაეუფლონ კოსმოსს, გაკვალონ ვარსკვლავეთის ახალი გზები.

ძნელი, მაგრამ დიდებით მოსილი გზა განვლო ლენინურმა კომკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კომკავშირი სამართლიანად ამაყობს, რომ დიდი ლენინის პარტია მას მუდამ ავალებდა ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე რთულ საქმეებს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ კომკავშირს არ გაემართლებინოს პარტიის ეს დიდი ნდობა. კომკავშირის იუბილე დიდი მოვლენაა მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რადგანაც ლენინური კომკავშირის მიერ განვლილი სასახელო და გმირული გზა განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ისტორიასთან, საბჭოთა ხალხის წინსვლასთან, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ბოლშევიკური პარტიის პირმშოა. პარტია იდგა ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის სათავეებთან. იგი ყოველთვის აფასებდა ახალგაზრდობის ენერგიულობას, გამბედაობას, წინსვლის დაუცხრომელ სურვილს, სიძნელეთა გადალახვისადმი სწრაფვას. პარტია ყოველთვის იყო ახალგაზრდობის ინტერესების გამზიარებელი, მოამაგე, მის აწმყოსა და მომავალზე მზრუნველი. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც.

საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული, პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა კომკავშირისათვის კიდევ უფრო ნათლად გამობრწყინდა ლენინური კომკავშირის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი.** შეკრებილნი მათ გულთბილად ესალმებიან. მათთან ერთად პრეზიდიუმში არიან რესპუბლიკის კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რევოლუციისა და ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის ვეტერანები, პლენუმის საპატიო სტუმრები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტის მდივნები, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საზეიმო პლენუმის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ვ. მეტრეველმა.**

დარბაზში გაისმა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილთა სახელით, რესპუბლიკის ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახელით რ. მეტრეველი გულთბილად მიესალმა საზეიმო პლენუმის სტუმრებს აზერბაიჯანისა და დაღესტნის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, საშეფო სამხედრო ნაწილების კომკავშირული ორგანიზაციების წარმოგზავნილებს, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და დასავლეთ ბერლინის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დელეგატებს.

დარბაზში შემოაქვთ საქართველოს კომკავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციის დროშა.

დარბაზის მქუხარე ტაშის გრიალში საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

საზეიმო პლენუმის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.** მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისადმი, რასაც პლენუმის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენო სახელოვანო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

ქარხნებისა და ფაბრიკების, ახალმშენებლობებისა და შახტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ჩვენი მამაცი არმიის კომკავშირელებო, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ყველა დარგში მომუშავე ახალგაზრდებო!

ამ დღეებში მთელი ჩვენი ახალგაზრდა თაობა, მთელი ხალხი ზეიმით აღნიშნავენ კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწის, მისი მებრძოლი რეზერვის — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს.

ეს ჭეშმარიტად დიდი და სასიხარულო დღესასწაულია.

მთელი ჩვენი ხალხი განსაკუთრებული ყურადღებითა და განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება კომკავშირს. და ეს სავსებით გასაგებია. კომკავშირთან დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების მრავალი თაობის — სამოქალაქო ომის მონაწილეთა, პირველი ხუთწლედის მშენებელთა, სამამულო ომის გმირთა და კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა დღევანდელი არმიის სიჭაბუკე.

და ყველას, ვინც კომკავშირში ყოფილა, სამუდამოდ დაამახსოვრდება სიჭაბუკის ეს საუკეთესო ხანა, კომუნისტური აღზრდის ეს ნამდვილი სკოლა.

დღეს ჩვენს საზეიმო პლენუმზე არიან კომუნისტების ძველი გვარდიისა და ყველა თაობის კომკავშირელთა წარმომადგენლები — ისინიც, ვინც ქმნიდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტ „სპარტაკელთა" პირველ უჯრედებს, ისინიც, ვინც იარაღით ხელში ამყარებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას, ისინიც, ვინც შაშხანის ნაცვლად ხელში იღებდა წერაქვს და ნიჩაბს და მიდიოდა კომკავშირულ მშენებლობებზე, აშენებდა ქარხნებსა და ფაბრიკებს, ახორციელებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასა და კულტურულ რევოლუციას.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით მივესალმო პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებს, მივულოცო მათ სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავი და ვუსურვო ყოველივე საუკეთესო — კარგი ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, სრული კეთილდღეობა, სიხარული და დიდი ადამიანური ბედნიერება.

ამხანაგებო!

სამი დღის წინათ საბრძოლო და შრომითი დიდების ხუთ ორდენს, რომლებიც კომკავშირის დროშას ამშვენებენ, მიემატა სამშობლოს მეექვსე ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომლითაც ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოვდა მის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

(გაგრძელება მე-2 გვ.).



საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი. სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელ დროშას გადასცემს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

(გაგრძელება)

ლენინურ კომკავშირს ეს ჯილდო მიენიჭა იმ თვალსაჩინო დამსახურებისა და დიდი წვლილისათვის, რომელიც კომკავშირელებს, საბჭოთა ახალგაზრდობას მიუძღვით საბჭოთა ხელისუფლების შექმნასა და განმტკიცებაში; იმ მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოიჩინეს სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძისადმი ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის.

**ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ახალგაზრდობას უანდერძა სწავლა, კომუნიზმის სწავლა.**

და საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდა თაობა სწავლობს კომუნიზმს, იმდიდრებს მეხსიერებას მთელ იმ სიმდიდრეთა ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუქმნია, მთელ თავის სწავლას, აღზრდას, განათლებას იგი უკავშირებს თავის მონაწილეობას მშრომელთა საერთო ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის.

შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები შედიან რა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში, ხდებიან პარტიის აქტიური თანაშემწენი უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტისათვის ბრძოლაში და ახალ წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც დასახა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პროგრამა.

**ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა**, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლის მთელი საქმე უნდა გახდეს ახალგაზრდობისათვის კომუნისტური მორალის ჩანერგვის საქმე.

კომკავშირელები ყოველთვის და ყველგან უჩვენებენ პირად მაგალითს, რადგან ახსოვთ, რომ კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. ისინი ისე წარმართავენ ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობას, რომ სწავლის, შეკავშირების, ბრძოლის დროს ახალგაზრდობა იზრდებოდეს კომუნისტური სულისკვეთებით, იყოს მაღალორგანიზებული და მაღალდისციპლინიანი.

შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, ახალი კომუნისტური მორალის ადამიანები არიან, რომ საქართველოს კომკავშირი, რომელმაც განვლო ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, ყოველთვის იყო და ახლაც არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების საიმედო თანაშემწე, რომ იგი სულ უფრო სრულყოფს მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ახალგაზრდებში ჰარმონიულად იყოს შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრებით და ბრძოლით ამკვიდრებდეს კომუნისტური მორალისა და კომუნისტური ზნეობის ნორმებს.

**ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა**, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყველას ეხმარება შრომაში, იჩენს ინიციატივას, თაოსნობას; გვასწავლიდა, რომ მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთობლივ შრომაში შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი; რომ ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს ისე წარმართავდე საქმეს, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალღონე მოახმარო საერთო საქმეს.

და ლენინური კომკავშირი ასრულებს რა პარტიის მითითებებს, უნერგავს შრომისადმი დამოკიდებულებას მთელ ახალგაზრდობას, რომელმაც იცის, რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა თვითეული ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია არ იშრომოს, რომ უნარის მიხედვით შრომა უნდა გახდეს საზოგადოების ყველა წევრის ჩვევა, ცხოვრების პირველი მოთხოვნილება.

შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები პატარაობიდანვე იზრდებიან შეგნებული და დისციპლინიანი შრომით, მთელ თავიანთ მუშაობას, მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ საერთო საქმეს, კომუნიზმის აშენების საქმეს, ყველას ეხმარებიან მუშაობაში, იჩენენ კარგ ინიციატივას, საბრძოლო თაოსნობას, ყოველდღე, მუშაობის ყოველ უბანზე, ქალაქში თუ სოფლად პრაქტიკულად წყვიტენ საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც პატარა, თუნდაც მარტივ ამოცანას.

ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის იმყოფება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, მოწინავე პოზიციებზე, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის.

და ყოველივე ამისათვის დიდ კომუნისტურ, საყოველთაო-სახალხო მადლობას ვუძღვნით ჩვენს სახელოვან კომკავშირს, მთელ ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას!

როგორც იცით, სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოვდა მთელი რიგი საქალაქო, რაიონული და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, მათ შორის რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც მიენიჭა შრომის წითელი დროშის ორდენი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობასა და განვითარებაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ შეტანილი დიდი წვლილისათვის, ახალგაზრდობის აღზრდისათვის გაწეული აქტიური მუშაობისათვის.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით რესპუბლიკის კომუნისტების, კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის სახელით, თქვენი სახელით მხურვალედ, სულით და გულით მივულოცო სიჭაბუკის ამ ქალაქის, მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის — რუსთავის კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ყველა რჩევა, რომელსაც ჩვენი პარტია აძლევს კომკავშირს, ყველა მისი მოწოდება ახალგაზრდა ცვლისადმი, გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით იმისათვის, რომ ახალგაზრდობა გახდეს კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე... პარტია ყოველთვის იყო კომკავშირის უფროსი მეგობარი, კეთილი მრჩეველი და დამრიგებელი, ყოველთვის გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდა თაობის მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს.

ახალგაზრდობას ახასიათებს მისწრაფება მომავლისადმი, თქვა მან, რადგან იგი თვითონ არის მომავალი. იგი მიჰყვება კომუნისტთა პარტიას იმიტომ, რომ პარტია მშრომელებს მიუძღვის მომავლისაკენ, დიადი მიზნისაკენ, რომელიც ყოველთვის იზიდავდა და შთააგონებდა მოწინავე ახალგაზრდობას, — კომუნიზმისაკენ!

და ეჭვი არ არის, რომ პარტიის ზრუნვა კომკავშირისათვის სულ უფრო გაიზრდება, იმიტომ რომ პარტიას კომკავშირი მიაჩნია საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო ავანგარდად, თავის საიმედო რეზერვად.

კომკავშირელთა ღირსების საქმეა გაამართლონ პარტიის იმედი, შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, იყონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილენი, დაუცხრომლად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, იმუშავებდნენ და მთელ ახალგაზრდობას უნერგავდნენ მტკიცე იდეურ რწმენას, ერთგულად იცავდნენ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იმაღლებდნენ კულტურულ დონეს, იფართოებდნენ გონებრივ ჰორიზონტს.

ჩვენს ახალგაზრდობას უნდა ვზრდიდეთ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით, უნდა ვაუმჯობესებდეთ ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, ვამზადებდეთ ჭაბუკებს საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

ამას მოითხოვს თანამედროვე, საკმაოდ რთული საერთაშორისო ვითარება და სულ უფრო გაძლიერებული ხრიკები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც აქტიურებენ ძირგამომთხრელ იდეოლოგიურ მუშაობას სოციალისტური ბანაკის შიგნით, ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შეასუსტონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ყოველივე ამას ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ შეურიგებელი ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი, უნდა განვამტკიცებდეთ საბჭოთა ადამიანების იდეურ რწმენას, მათს უნარს წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველი ფორმის ბურჟუაზიულ გავლენას.

და აქაც, ისევე როგორც ჩვენი სოციალისტური მონაპოვრების დაცვის, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაცვისას[illegible] კომკავშირი უნდა იყოს პარტიის ერთგული, აქტიური თანაშემწე.

**ნება მიბოძეთ ჩვენს სახელოვან კომკავშირს ვუსურვო** სამუდამოდ შეინარჩუნოს თავისი მებრძოლი სულისკვეთება, თავისი ჭეშმარიტად კომკავშირული შემართება, თავისი ენთუზიაზმი, სიდინჯე და სიმტკიცე, კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა. ვუსურვოთ, რომ ახალი გმირული საქმენი ჩაწეროს კომკავშირის შესანიშნავ მატიანეში!

**ნება მიბოძეთ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ვუსურვო** კიდევ უფრო დიდი წარმატებანი ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერების ახალი აღმავლობისათვის, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, ძველი და სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართული კულტურის აყვავებისათვის, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, რომლის სახელსაც ჩვენი კომკავშირი ატარებს.

**ნება მიბოძეთ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას** — ჩვენს მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების, სკოლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეებს ვუსურვო ბეჯითად და დაუცხრომლად ეუფლებოდნენ ცოდნას, მეცნიერებათა საფუძვლებს, ამრავლებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიგებს, რომლებსაც წარმატებით მიჰყავთ წინ ჩვენი სახალხო მეურნეობა!

**ნება მიბოძეთ ვუსურვო ჩვენს ახალგაზრდებს** იყონ დიდად განათლებული, იდეურად მტკიცე მებრძოლები, სულითა და გულით ლამაზი და ჯანსაღი, ფიზიკურად გამოწრთობილნი, იყონ მზად ახალი კომუნისტური საზოგადოების შენებისათვის!

სახელოვანი იუბილეს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავის დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყველა კომუნისტი გულითადად გილოცავენ, ჩვენო ძვირფასო კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობავ, და მეგობრულად გისურვებენ ყოველივე საუკეთესოს და უწინარეს ყოვლისა — ახალგაზრდობის უშრეტ ენერგიას, ჭეშმარიტად კომკავშირულ შემართებასა და ჭაბუკურ გამბედაობას.

დაე მოუსვენარი, შრომასა და ბრძოლაში გამოწრთობილი კომკავშირელები ყოველთვის მზად იყონ ახალი გმირობისა და საგმირო საქმეებისათვის საბჭოთა ხალხის სასახელოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გასამარჯვებლად!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, წავიკითხო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

* * *

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ დამსწრეთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკის კომკავშირს.

დროშა ჩაიბარა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ვ. მეტრეველმა**. მან მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ახალგაზრდობის საქმიანობის ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

მოხსენება „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი" გააკეთა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ვ. მეტრეველმა**.

# ბრძანება

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

### 1968 წ. 29 ოქტომბერი № 248. ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო ლენინური კომკავშირის ვეტერანებო!

ამხანაგო კომკავშირელებო, ახალგაზრდა მეომრებო!

დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს.

ლენინის ინიციატივით შექმნილი, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი კომკავშირი მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომაში. პარტიის ხელმძღვანელობით იგი გახდა კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა აღზრდის ნამდვილი სკოლა. ორმოცდაათი გმირული წლის მანძილზე სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში იდეურად გამოიწრთო ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი უსაზღვრო ერთგულებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით კომკავშირმა საბჭოთა ხალხის დიდი პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა.

ლენინურ კომკავშირს, რომელიც თავის პატრიოტულ მოვალეობას ასრულებს, მუდამ წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიაჩნია საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის დაცვა და განმტკიცება. ახალგაზრდა გმირთა უმაგალითო მამაცობა ინტერვენტებთან და თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი შეფობა, დაუცხრომელი მუშაობა სსრ კავშირის თავდაცვის და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებში კომკავშირის გმირული მატიანის ბრწყინვალე ფურცლებია.

საუკუნეებს გადაეცემა დიდი სამამულო ომის გმირ ახალგაზრდა პატრიოტთა დიდება, რომლებიც მკერდით დადგნენ ფაშისტური დამონების საფრთხისაგან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მათი საგმირო საქმენი აღაფრთოვანებდნენ და მუდამ აღაფრთოვანებენ ახალგაზრდობას ახალი მიღწევებისათვის.

სამშობლომ ღირსეულად შეაფასა ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სასახელო საქმენი. დიდი დამსახურებისა და საბჭოთა ხელისუფლების ქმნადობასა და განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოზარდ თაობათა აღზრდაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და 50 წლისთავთან დაკავშირებით ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოებულია მეექვსე ორდენით — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის უმრავლესობას შეადგენენ, დღესაც ღირსეულად დგანან საბრძოლო ვახტზე დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად. კომუნისტური პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი მეომრები ფხიზლად ადევნებენ თვალს იმპერიალისტთა ხრიკებს, დაუცხრომლად ამაღლებენ თავიანთ მზადყოფნას ყოველი აგრესორის გასანადგურებლად.

ახალგაზრდა მეომრები თავიანთი უფროსი თანამებრძოლების მხარდამხარ საქმით ამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, თავდადებულ ერთგულებას სოციალიზმის დიადი საქმისადმი.

ამხანაგო მეომრებო!

მოგესალმებით და გილოცავთ დღესასწაულს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს.

შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას ვუსურვებ ახალ მიღწევებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

კომუნისტური პარტიისა და ხალხის წინაშე ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად და ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვბრძანებ:

დღეს, 29 ოქტომბერს, 20 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში მიცემულ იქნას სალუტი ორმოცდაათი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

დიდება ლენინურ კომკავშირს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს!

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი**

**საბჭოთა კავშირის მარშალი**

**ა. გრეჩკო**

# ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იახირო ნაკასონე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 28 ოქტომბერს კრემლში მიიღო იაპონიის ტრანსპორტის მინისტრი იახირო ნაკასონე და ესაუბრა მას საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების ზოგიერთ საკითხზე. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).



# ამხანაგ რ. ვ. მეტრეველის მოხსენება

კომკავშირის სახელოვანი ისტორია, აღნიშნა ამხ. მეტრეველმა, შრომისა და ბრძოლის 50 წელი განუყოფელი ნაწილია იმ დიდი გზისა, რომელზეც მიაბიჯებს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი. კანონიერი სიამაყით ვუცქერით განვლილ გზას. სიამაყეს გვმატებს იმის შეგნება, რომ არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი, არც ერთი წუთი, რომ კომკავშირს ახლოს არ მიეტანოს გულთან ქვეყნისა და ხალხის ჭირვარამი, მისი ფიქრი, ოცნება და სიხარული.

ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორია ჩვენს ქვეყანაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა კლასის საერთო ბრძოლასთან, რომლის აღმავლობამ ცხრაასიან წლებში მუშა-ახალგაზრდობის რევოლუციური აქტივობა განაპირობა. ამოძრავდა გლეხი ახალგაზრდობა, რევოლუციური ტალღა მოედო მოსწავლეებსა და სტუდენტობას.

კაცობრიობის ისტორიაში არნახული გადატრიალების დღეებში, როცა ძველი სამყარო ინგრეოდა, როცა გაფთრებული ბრძოლების ქარცეცხლში იბადებოდა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო, სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა ახალგაზრდა თაობა გადაებირებინა. მაგრამ მშრომელთა ინტერესებს ასახავდა მხოლოდ ერთი პარტია — ბოლშევიკების პარტია, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა. ამიტომ ახალგაზრდობა სწრაფად გაერკვა, თუ სად იყო ლიტონი დაპირებები და სად იყო ჭეშმარიტი სიმართლე, რისთვისაც თავის განწირვა დასანანი არ იქნებოდა. პროლეტარული ახალგაზრდობა გაბედულად და მტკიცედირაზმებოდა ბოლშევიკური დროშის გარშემო.

ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: ი. სვერდლოვი, მ. ცხაკაია, ნ. კრუპსკაია, გ. ორჯონიკიძე, ა. ჟდანოვი და სხვები. რევოლუციონერთა ახალგაზრდა კადრების პოლიტიკურ მომზადებაში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოს გაზეთ „პრავდას", რომელსაც იმხანად სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ არ გაამართლა მშრომელთა იმედები. ბოლშევიკური პარტიის მეექვსე ყრილობაზე პარტიამ კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ. რაოდენ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ყრილობაზე, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ყრილობა, პარტიამ სპეციალურად განიხილა ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხი. დიდი ლენინის მითითებათა საფუძველზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ".

ახალგაზრდობამ გაამართლა პარტიის ნდობა. მან უმაგალითო გმირობის ფურცელი ჩაწერა დიდი ოქტომბრის ქარიშხლიან მატიანეში. სწორედ ამ ხანებში მიიღეს ახალგაზრდობის კავშირებმა პირველი საბრძოლო ნათლობა.

დადგა ბობოქარი დღეების ერა. დადგა დრო, როცა უნდა გამორკვეულიყო, თუ რა შეუძლია ხალხს, რომელიც თავისი კეთილდღეობისათვის იღვწის. დრო კი მართლაც რომ მძიმე იყო. საბჭოეთის ახლად ფეხადგმულ ქვეყანას იმთავითვე მოუნდომეს აღგვა პირისაგან მიწისა. ვის არ ებრძოდნენ მაშინ ჩვენი მამები და დედები, რომლებიც არნახული შეუპოვრობით იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს კოლჩაკის, ვრანგელის, დენიკინის, იუდენიჩის, მამონტოვის, მახნოს და სხვათა ბანდებისაგან. უცხოეთის 14 სახელმწიფო ამხედრდა მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ყველა განსაცდელი როდი იყო. ქვეყნის მეურნეობა იმპერიალისტურმა ომმა მთლიანად გაანადგურა. უქმად იდგნენ ფაბრიკები, ქარხნები, შახტები. მოუხნავი რჩებოდა მიწები. საკმარისი არ იყო პური, სათბობი. შიმშილი და ტიფი სპობდა ათასობით ადამიანს. მაგრამ ხალხი მაინც იბრძოდა, ხალხი არ ნებდებოდა.

სწორედ ასეთ ვითარებაში, 1918 წლის 29 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა. სწორედ ამ დღეს დაიბადა კომკავშირი — პროლეტარული ახალგაზრდობის ავანგარდი.

ლეგენდად იქცა 20-იანი წლების კომკავშირელთა საქმეები. ბევრი სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი და ქალიშვილი კომკავშირულ ბილეთთან ერთად შაშხანას და ვაზნებს იღებდა, რათა დაეცვა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მონაპოვარი.

როცა ჩვენი კომკავშირის არსებობის პირველი წლების შესახებ ვლაპარაკობთ, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, შეუძლებელია, განსაკუთრებით არ შევჩერდეთ კომკავშირის მესამე ყრილობაზე, რომელზეც მოზარდი თაობის ბრძოლისა და შრომის შესახებ საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა. დიდი ბელადის ამ გამოსვლაში გენიალური სიღრმითა და სიზუსტით ჩამოყალიბებულია კომკავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, დასახულია ახალგაზრდობის პრაქტიკული მოღვაწეობის, ცოდნის შეძენის, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების ამოცანები. ვ. ი. ლენინის მიერ წამოჭრილი უპირველესი ამოცანა — კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის აღზრდა — კომკავშირის მთელი შემდგომი მუშაობის ღერძად და დედააზრად გადაიქცა.

განსაკუთრებული სიხარულით და ინტერესით შეხვდა ამ სიტყვას საქართველოს ახალგაზრდობა, რომელიც იმ დროისათვის ორგანიზაციულად და იდეურად გაერთიანებული იყო ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაცია „სპარტაკში". საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა გმირული ბრძოლებით მხარს უჭერდა რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციურ აღმაფრენას. ამ ბრძოლებში იწრთობოდნენ ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები. 1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი", რომელსაც დაევალა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება. იმავე წლის 3 სექტემბერს ავლაბარში შეიკრიბა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის" დამფუძნებელი კრება, რომელიც სერიოზული ცდა იყო საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის გაერთიანებისა.

1919 წლის მარტში თბილისის უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულ იქნა სპარტაკელთა ორგანიზაციების პირველი საერთო საქალაქო კონფერენცია. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას. იგი აღიარებულ იქნა როგორც საქართველოს კომკავშირის დამფუძნებელი ყრილობა.

საქართველოს კომკავშირმა, მთელმა ჩვენმა ახალგაზრდობამ დიდი დახმარება გაუწია პარტიას მენშევიკების განდევნასა და რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებაში. ქართველი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების მუშაობას სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, სერგეი კიროვი, ფილიპე მახარაძე და სხვები. ამ საზეიმო დღეს, როცა რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად დღესასწაულობენ ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს, შეუძლებელია არ მოვიგონოთ ჩვენი თანატოლები, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ საქართველოს კომკავშირს. პირველი მათ შორის, ვინც წერდა საქართველოს კომკავშირის გმირული ისტორიის პირველ ფურცლებს, ჩვენი ახალგაზრდული კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, შესანიშნავი ბოლშევიკი — ორგანიზატორი ბორის ძნელაძეა. იგი ხომ გმირულად შეეწირა მომავლის საქმეს, ჩვენი ბედნიერების საქმეს. ჩვენ მოწიწებით ვიგონებთ ბორის ძნელაძის ნათელ ცხოვრებას, მისი თანამებრძოლების, საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის — გაიოზ დევდარიანის, დავით კაჭარავას, იამა ოქროევის, ამასი ამირბეგოვის და სხვა მგზნებარე კომკავშირელების ცხოვრების ნათელ მაგალითებს, რომლებიც დღესაც აღაფრთოვანებენ ქართველ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

კომკავშირელთა დღევანდელ თაობას ბევრი რამ აქვს საამაყო. გზას გვინათებს უფროსი თაობის სასახელო საქმეები, მათი ტრადიციები.

ამხ. მეტრეველი აღუთქვამს კომკავშირელთა უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომ საქართველოს კომკავშირელთა დღევანდელი თაობა კვლავაც ღირსეულად გააგრძელებს მათს სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

ისტორიამ შემოგვინახა პირველი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის მაგალითები, იმ დღეების სინამდვილე, პათოსი და რომანტიკა. სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე ქალიშვილები და ჭაბუკები მხარში ამოუდგნენ კომუნისტებს განადგურებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. კომკავშირლები ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ ყველა უბანზე, ამავე დროს ეუფლებოდნენ ცოდნას საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, იძენდნენ სპეციალობებს და მშენებელთა მწყობრში დგებოდნენ. ქვეყანას სჭირდებოდა მძლავრი ინდუსტრია, მექანიზებული მეურნეობა და ახალგაზრდობა მთელ ძალებს ახმარდა პარტიის მიერ შემუშავებული გეგმების განხორციელებას.

დაიწყო არნახული შეტევა სოციალიზმის მშენებლობათა ობიექტებზე. კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ ჩამორჩენილობას, შიმშილსა და სიღარიბეს. ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მარჯვენის ძალა გამოსცადეს ზაჰესმა, მძიმე ინდუსტრიის ობიექტებმა და კოლხეთის ჭაობიანმა ველ-მინდვრებმა. კომკავშირელები იყვნენ სოფლად პარტიის ხაზის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური შეჯიბრების წამომწყები და შრომის დამკვრელების მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი.

საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა კომკავშირელთა ზღაპრული თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითები დიდ სამამულო ომში. ზოია კოსმოდემიანსკაია და ოლეგ კოშევოი, ლიზა ჩაიკინა და ალექსანდრე მატროსოვი, ზოია რუხაძე და ნიკოლოზ გასტელო, თინა ოსიპაშვილი და შოთა გამცემლიძე... აი მოთვლის სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა დამცველთა გმირობის მაგალითებს. სწორედ ამ ქარიშხლიან დღეებში მთელი სიცხადით გამომჟღავნდა საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები, მისი უსაზღვრო პატრიოტული სულისკვეთება.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი, სისხლსავსეა ახალგაზრდობის ცხოვრება მშვიდობიან პერიოდში. ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ერთსულოვანმა ბრძოლამ შესაძლებელი გახადა დანგრეული ქალაქებისა და რაიონების აღდგენა. შეიქმნა მძლავრი საფუძველი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ყველგან და ყოველთვის კომკავშირი ასრულებდა მშობლიური კომუნისტური პარტიის განსაკუთრებით პასუხსაგებ დავალებებს. ასე იყო ორმოცდაათიან წლებშიც, როცა პარტიამ ახალგაზრდობას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება დაუსახა ამოცანად. მომხსენებელი ლაპარაკობს ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტულ შემართებაზე ყამირი მიწების ათვისების დროს. ათი წლის მანძილზე ყოველ გაზაფხულს ყაზახეთის თვალუწვდენელ ველ-მინდვრებზე თავდადებით შრომობენ სტუდენტთა რაზმები. ათეულობით გარდამავალი ჯილდო, ასობით მადლობა, მედლები, საპატიო სიგელები და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს ქართველმა ახალგაზრდებმა.

შრომის სიყვარული, უფროსი თაობის შრომითი ტრადიციებისადმი პატივისცემა, ამ ტრადიციების გამრავლება ყოველთვის იყო ქართველი ახალგაზრდობის დამახასიათებელი თვისება. ეს უყოყმანოდ ითქმება 60-იანი წლების კომკავშირელებზეც, რომლებმაც ლენინური კომკავშირის იუბილესათვის ღირსეული შეხვედრა თავის ღვიძლ საქმედ და ვალად გამოაცხადეს. ჭეშმარიტად სასიხარული იყო ის გარემოება, რომ შრომისა და შენების ლენინურ ვახტზე მდგომი ქართველი ქალიშვილები და ჭაბუკები ყველაფერს აკეთებდნენ ღრმა შეგნებით გამსჭვალულნი, იდეური რწმენით დარაზმულნი, მამა-პაპათა მგზნებარე მაგალითით შთაგონებულნი.

თავდადებული შრომისა და შემოქმედებითი წინსვლის ნათელ მაგალითებს გვიჩვენებენ ჩვენი ახალგაზრდა მეჩაიეები და მევენახეები, მებაღეები და მეცხოველეები, მეთოლადეები და მანქანათმშენებლები, მაღაროელები და გვირაბგამყვანები, მშენებლები და ენერგეტიკოსები, მწერლები და პოეტები, მხატვრები და რეჟისორები, არქიტექტორები და კომპოზიტორები, სტუდენტები და მოსწავლეები, მეცნიერ მუშაკები, სპორტსმენები და ჯარისკაცები.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ცხოვრება გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ, არნახულად ამაღლდა და მიაღწია განსაცვიფრებელ დონეს. ახლის შემოქმედმა საბჭოთა ადამიანმა კოსმოსური სიმაღლიდან გადმოხედა მსოფლიოს, თვალმიუწვდომელ პლანეტებს მოჰფინა საბჭოთა ადამიანის ძალისა და შესაძლებლობების შარავანდედი. ბუნების საიდუმლოთა ხელშეუხებელი კარი პირველად ლენინური კომკავშირის აღზრდილმა გმირებმა შეაღეს. ის დაუვიწყარი ადამიანებიც, ვინც ქმნიდნენ ჩვენი სამშობლოს უმდიდრეს ისტორიას, ჩვენსავით ახალგაზრდები იყვნენ, ლენინური კომკავშირის აღზრდილები და მისი ჭაბუკური სულით ანთებულები.

ამიტომ ვაცხადებთ, — სწორედ ამიტომ სჯერა ახალგაზრდობას, ამბობს ამხ. მეტრეველი, რომ რა შორსაც უნდა წავიდეს დრო, როგორც უნდა გარდაიქმნას სამყარო, ამაღლდეს თანამედროვე ახალგაზრდობის იდეური და კულტურული დონე, გამდიდრდეს გამოცდილება, ინტელექტი და შესაძლებლობა, რა არნახულ აღმოჩენებსაც უნდა მიაღწიოს მეცნიერებამ და ტექნიკამ, ჩვენი მოწინავე ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთ მამა-პაპებს ერთ მთავარ საქმეში მაინც მუდამ ემგვანებიან. ეს არის იდეური რწმენის სიმტკიცე, კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იდეალად ქცევა.

ოციანი, ოცდაათიანი თუ ქარიშხლიანი ორმოციანი წლების კომკავშირელების თავგანწირვა და ენთუზიაზმი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ამის დამადასტურებელ მაგალითებს უხვად გვიჩვენებს ჩვენი ყოველდღიურობა და კატასტროფულად ნადგურდება ბურჟუაზიის პირწავარდნილი დამქაშების ცრუ დებულებანი ჩვენი ახალგაზრდობის აპათიურობისა და აპოლიტიკურობის შესახებ.

ჩვენმა ახალგაზრდობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა ულრმესი ერთგულება ლენინის დიადი საქმისადმი, უფროსი თაობის შესანიშნავი ტრადიციებისადმი, დაუოკებელი სწრაფვა რევოლუციის მონაპოვრების დაცვისა და გამარჯვებისადმი, მამაცობისა და გამბედაობისადმი, ყოველივე ახლისა და პროგრესულის განუწყვეტელი დაუფლებისადმი.

მომხსენებელი ლაპარაკობს საქართველოს ახალგაზრდობის წინასაიუბილეო შრომითს საქმეებზე და განსაკუთრებით აღნიშნავს რუსთავის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის წარმატებებს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ფრონტზე. რუსთაველმა ახალგაზრდებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგათ სოციალისტური წარმოების გზაზე, ებრძოლათ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. მთელი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი გამარჯვებაა ის ჯილდო, რომელიც ამ საიუბილეო დღეებში დაიმსახურა რუსთავის საქალაქო კომკავშირულმა ორგანიზაციამ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დიდი წვლილისათვის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობასა და განვითარებაში, აქტიური მუშაობისათვის ახალგაზრდობის აღზრდაში. შრომის წითელი დროშის ორდენი დიდ ვალდებულებებს აკისრებს რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას და მოუწოდებს საქართველოს ყველა ძირეულ ორგანიზაციას გაათკეცებული ენერგიით იბრძოლონ პარტიის წინასწარდასახულობათა პირნათლად შესრულებისათვის, კომკავშირული მუშაობის ახალი აღმავლობისათვის.

ჩვენი მომავალი თაობის მტკიცე რწმენა დიდი ლენინის უკვდავი საქმისა, მისი მისწრაფება იყოს ერთგული ბელადის ანდერძისა, ნათლად გამოსჭვივის სწავლაში, შრომაში, უფროსი თაობისადმი პატივისცემაში, ინტერნაციონალურ მეგობრობაში, სპორტში, საბრძოლო ტრადიციებში. შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობის ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის მაღალი თვისებები თვალნათლივ გამოვლინდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალზე. ახალგაზრდობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა,

(დასასრული მე-4 გვ.).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რაიმედ, თუ შეუძლიათ თავის დაცვა. ჩვენს სოციალისტურ მონაპოვართა დაცვა, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფა ჩვენს პარტიას მუდამ თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია როგორც საბჭოთა ხალხის წინაშე, ისე ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე. ამ მხრივაც კომკავშირი პარტიის ერთგული, აქტიური თანაშემწე იყო და არის.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა მუდამ კომკავშირის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი იყო. თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე კომკავშირი შეფობს სამხედრო-საზღვაო ფლოტს. 1931 წლიდან კი სამხედრო-საჰაერო ფლოტსაც. და შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ათასობით და ათასობით გმირთა შორის, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში, ბევრი აღმოჩნდება ისეთი, ვინც კომკავშირის დახმარებით შექმნილ წრეებში, კლუბებსა და სკოლებში პირველად გაეცნო ტყვიამფრქვევის მოწყობილობას, პლანერს ან პარაშუტს, თვითმფრინავისა თუ მოტორიანი კატარღის საჭეს.

ჩვენს დროშიც სამხედრო-პატრიოტული აღზრდა ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად რჩება. ისევე როგორც წარსული ათწლეულებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ბევრ სხვა საქმეს, ამ ამოცანასაც დღეს თავისი სპეციფიკა აქვს. სამხედრო ტექნიკა ჩვენს დროში 20-იანი წლების ტილოგადაჭიმული „ფარმანები" ან სამამულო ომის პერიოდის „ქორები" და „იხვები" როდია. დღეს საბჭოთა სამშობლოს დამცველები დაუფლებული უნდა იყვნენ საკონტინენტთაშორისო რაკეტების მართვის ხელოვნებას, უნდა იცოდნენ ზებგერითი თვითმფრინავების, ატომური წყალქვეშა ნავების მართვა, ზედმიწევნით იცნობდნენ ბევრი სხვა ურთულესი სახეობის იარაღს.

დღეს უკვე გვჭირდება არა მარტო გაბედული, ნავარჯიშევი, კუნთმაგარი ახალგაზრდები, რომლებსაც მახვილი თვალი და მტკიცე ხელი აქვთ, არამედ ინჟინრებიც, მათემატიკოსებიც, რომლებიც იცნობენ ელექტრონიკისა და კიბერნეტიკის საიდუმლოებას. ამრიგად, ამ დარგშიც ამოცანები უფრო რთული, უფრო პასუხსაგები გახდა, ახალ დონეზე ავიდა. მაგრამ კომკავშირული შემართება, ენთუზიაზმი, ახალგაზრდული შეუპოვრობა, ვაჟკაცობა და სიმამაცე დღეს ისევე საჭიროა, როგორც სამოქალაქო ომისა და პირველი ხუთწლედების დროს, როგორც დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან წლებში. და ამ დარგში, ამხანაგებო, კომკავშირის წინაშე გადაშლილია უდიდესი საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმიანობის ასპარეზი.

კომკავშირის ძალის, ახალგაზრდობაზე მისი გავლენის ძალის ერთ-ერთი მთავარი წყარო ის არის, რომ კომკავშირი ეხმარება პარტიას ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეთა ფართო მასებს გააცნოს მარქსისტულ-ლენინური იდეების დიდი სიმართლე. კომკავშირი ეხმარება პარტიას შეაიარაღოს ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ისტორიის მეცნიერული გაგებით, წინა თაობების ბრძოლის გამოცდილებით, ჩვენი დღევანდელი შრომისა და კლასობრივ მტრებთან ბრძოლის აზრისა და ამოცანების გაგებით; იგი ეხმარება ახალგაზრდებს დაინახონ კომუნიზმისაკენ ჩვენი შემდგომი წინსვლის მკაფიო და ნათელი პერსპექტივები.

მინდა კვლავ გავუსვა ხაზი იმას, რომ როცა პარტია ლაპარაკობს ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებაზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაზე, იგულისხმება არა ამა თუ იმ დებულების, ამა თუ იმ წიგნის მექანიკური დაზეპირება, არამედ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დედააზრის დაუფლება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მოქალაქეებმა არა თუ კარგად უნდა იცოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებანი, არამედ უნდა ისწავლონ ამ თეორიაში, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში, პარტიის დოკუმენტებში იმ საკითხთა გადაწყვეტის საფუძვლის, გასაღების, ყველაზე სწორი მეთოდის გამონახვა, რომლებსაც დღის წესრიგში აყენებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება. მაშასადამე, საქმე ეხება ნამდვილი ღრმა მარქსისტული რწმენის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენისადმი მკაფიო კლასობრივი მიდგომის ჩამოყალიბებას, იმას, რომ ვისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დიდი სიმდიდრის შემოქმედებითად გამოყენება.

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო ასპარეზზე გაჩაღებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გააჩაღეს გააფთრებული იდეოლოგიური ომი სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ და ცდილობენ გააქტიურონ ძირგამომთხრელი მუშაობა სოციალისტური ბანაკის შიგნით, გათიშონ ცალკეული სოციალისტური ქვეყნები, შეასუსტონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამ ბრძოლის მსვლელობაში ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის გონებაზე. „ახალგაზრდობის მეგობრების" ნიღბით ისინი ცდილობენ თავიანთ მახეში გააბან პოლიტიკურად მერყევი, გამოუცდელი ახალგაზრდები, დააჩლუნგონ მათი კლასობრივი, რევოლუციური სიფხიზლე ბურჟუაზიულ ლიბერალური ყაიდის ცრუ მსჯელობებით, ცდილობენ გააღვივონ ნაციონალისტური განწყობილებანი, ეძებენ იოლი ცხოვრების მოყვარულ გარეწრებს.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება მიაქცია იმპერიალიზმის ვერაგულ ტაქტიკას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან განსაკუთრებით გაესვა ხაზი, რომ იმპერიალისტური პროპაგანდის ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი პასუხი უნდა იყოს შეურიგებელი ბრძოლა მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვიწოდა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ რწმენას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, მათს იდეურ სიმტკიცეს და ყველა ფორმის ბურჟუაზიული გავლენისადმი წინააღმდეგობის უნარს.

ამ ბოლო თვეების მსოფლიო მოვლენებმა საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რამდენად დასაბუთებული და დროულად დაყენებული იყო ეს ამოცანები.

ძვირფასო ახალგაზრდა მეგობრებო! ჩვენი პარტია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ისევე როგორც ყველა საქმეში, ორ სამყაროს შორის გაჩაღებულ იდეოლოგიურ ბრძოლაშიც კომკავშირელები ყოველთვის იქნებიან კომუნისტების ერთგული თანაშემწენი. ამ ბრძოლაში ჩვენმა ადამიანებმა უნდა გამოიჩინონ იდეური წრთობა და რწმენის სიმტკიცე. ჩვენი იდეური იარაღი, რომლის ძალა უძლეველია, რადგან ეს არის სიმართლის ძალა, ყოველთვის კარგად გალესილი, ყოველთვის საბრძოლოდ გამზადებული უნდა იყოს.

იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ შეარყევენ ჩვენს მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ბურჟუაზიის იდეოლოგები ჩვენს ადამიანებს თავს ვერ მოახვევენ თავიანთი საზოგადოების მორალს, სადაც ყველაფრის მთავარი საზომია კერძო საკუთრება, სადაც მეფობენ მგლური კანონები, სულიერი და მორალური სიღატაკე. იმპერიალიზმი ვერაფერს ვერ დაუპირისპირებს იმ კეთილშობილური იდეებისა და გრანდიოზული მიზნების დიად ძალას, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს ახალგაზრდობას აღაფრთოვანებენ შრომითი და საბრძოლო გმირობისათვის.

ჩვენ ძლიერი ვართ იმით, რომ მომავალი სოციალიზმს და კომუნიზმს ეკუთვნის. ჩვენ ძლიერი ვართ იმით, რომ ვემსახურებით დიად ჰუმანურ მიზნებს, რომ მთელი ჩვენი მუშაობა ეძღვნება ხალხისადმი სამსახურს, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას. ჩვენ ძლიერი ვართ იმით, რომ ვიბრძვით კაცობრიობის ყველაზე ნათელი იდეალების განხორციელებისათვის. და კომკავშირს არა აქვს უფრო დიდმნიშვნელოვანი, უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ამოცანა ზრდიდეს თავისი ქვეყნის ახალგაზრდა თაობას ნამდვილ კომუნისტებად, დიდი ლენინის საქმის ღირსეულ განმგრძობებად.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ლენინური კომკავშირი კვლავაც ისევე უნარიანად, ისეთივე გზნებითა და ენერგიით გადაწყვეტს ამ პასუხსაგებ ამოცანებს, როგორც წყვეტდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე — სამოქალაქო ომის ცეცხლოვანი დღეებიდან ჩვენს დრომდე, რომელიც გასხივოსნებულია კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმის შუქით.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი დიდი ხალხი კომუნიზმს აშენებენ. მის ნათელ შენობაში შესვლა, ადამიანთა ახალი ურთიერთობის დამკვიდრება, რომელზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ მსოფლიოს საუკეთესო მოაზროვნენი, რომლისთვისაც სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციონერთა მრავალი თაობა, მოგიწევთ თქვენ, საბჭოთა ქვეყნის დღევანდელ კომკავშირელებს, მაგრამ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ ეს ისტორიული მისია, კარგად უნდა მოემზადოთ მისთვის. საჭიროა სწავლობდეთ კომუნიზმს.

რას ნიშნავს ეს დღევანდელ პირობებში?

სწავლობდე კომუნიზმს, ეს ნიშნავს ყოველთვის ისწრაფოდე იყო კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, რათა შენი შრომა — შენი ცხოვრების კმაყოფილებისა და სიხარულის წყარო — უერთდებოდეს შენი ამხანაგების შრომას საყოველთაო კეთილდღეობისათვის. ეს ნიშნავს, ყოველთვის ისახავდე მიზანს გახდე კიდევ უფრო კვალიფიციური მუშაკი, ეუფლებოდე სულ ახალ-ახალ მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას. ეს ნიშნავს ყოველთვის ეძებდე წარმოების ახალ, უფრო ეფექტიან გზებს.

სწავლობდე კომუნიზმს — ეს ნიშნავს დაუცხრომლად ეუფლებოდე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, გამოიმუშავებდე იმ დიადი ისტორიული საქმის ნათელ გაგებას, რომლისთვისაც იბრძვიან ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი, გამოიმუშავებდე მტკიცე იდეურ რწმენას, რომ ეს ბრძოლა სამართლიანია. ეს ნიშნავს განუწყვეტლივ ავითარებდე კლასობრივ თვითშეგნებას, იცავდე კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის რევოლუციურ ტრადიციებს, ცხოვრობდე კლასობრივი მტრებისა და მათი იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ეს ნიშნავს ისწავლო კლასობრივი მტრის გამოცნობა, როგორც უნდა ინიღბებოდეს იგი.

სწავლობდე კომუნიზმს — ეს ნიშნავს აქტიურად მონაწილეობდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეჩვეოდე საზოგადოებრივ საქმეთა მართვას, ყოველთვის და ყველგან იცავდე ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს.

სწავლობდე კომუნიზმს — ეს ნიშნავს სიტყვით და საქმით, პირადი მაგალითით ამკვიდრებდე კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმებს. ეს ნიშნავს დაუცხრომლად იმაღლებდე კულტურულ დონეს, იფართოებდე გონებრივ ჰორიზონტს, იძენდე სულ ახალ-ახალ ცოდნას კაცობრიობის კულტურის საგანძურიდან.

სწავლობდე კომუნიზმს — ეს ნიშნავს ცხოვრობდე თავდადებული საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ეს ნიშნავს ისწრაფოდე მთელი ძალ-ღონით შეუწყო ხელი ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებასა და აყვავებას. ეს ნიშნავს თვალისჩინივით უფრთხილდებოდე ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, განამტკიცებდე ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას, შეურიგებელი იყო ნაციონალიზმის ყოველი გამოვლინებისადმი. ეს ნიშნავს ყოველთვის მზად იყო მთელი შენი ძალღონე, ხოლო თუ საჭირო გახდა, სიცოცხლეც შესწირო შენი სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეს, შენი ხალხის ბედნიერებას, კომუნიზმის საქმეს.

სწავლობდე კომუნიზმს — ეს ნიშნავს იცხოვრო პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ძმური მეგობრობის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმისათვის ყველა მებრძოლთან საბრძოლო კავშირის სულისკვეთებით, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან კლასობრივი სოლიდარობის სულისკვეთებით.

ასეთია ამოცანები, რომლებიც დგას საბჭოთა ახალგაზრდობის ახლანდელი თაობის წინაშე, კომუნიზმისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა მრავალმილიონიანი არმიის წინაშე.

იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ეს ამოცანა, იყოს დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე, ჩვენი ახალგაზრდობა უნდა იყოს არა მარტო შეგნებული, განათლებული, კულტურული, არამედ აგრეთვე უნდა განამტკიცებდეს თავისი რიგების შეკავშირებას, თავის ორგანიზაციას. ეს ბუნებრივია. ვერც ერთი არმია, რაც უნდა კარგად იყოს შეიარაღებული, ვერ გაიმარჯვებს, თუ შედუღაბებული არ იქნა ნებისყოფის, ორგანიზაციის, დისციპლინის ერთიანობით. ჩვენი ახალგაზრდობის ნებისყოფის ასეთ ერთიანობას, ასეთ შეკავშირებას უზრუნველყოფს ლენინის პარტიის ერთგული თანაშემწე —ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი.

კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად მთელ ჩვენს ქვეყანაში მოეწყო ის, რასაც თქვენ ესოდენ კარგად უწოდეთ კომკავშირის სრულიად საკავშირო კრება. ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და ჯარის ნაწილებში ქალიშვილები და ჭაბუკები აჯამებდნენ საიუბილეო შეჯიბრების შედეგებს, უპატაკებდნენ თავიანთ წარმატებებს, ამბობდნენ, თუ როგორ ემზადება კომკავშირი დიადი თარიღის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავის შეხვედრისათვის, მადლობას უხდიდნენ პარტიას ახალგაზრდობაზე ზრუნვისათვის.

ეს სამართლიანია. ახალგაზრდებს, კომკავშირს მართებთ პარტიისადმი მადლობა. მაგრამ დღეს, თქვენი იუბილეს დღეს, ჩვენც, უფროსი თაობის ადამიანებსაც გვმართებს ჩვენი ქვეყნის ცამეტმილიონნახევარი კომუნისტის სახელით ჯეროვნად დავაფასოთ კომკავშირი იმ სიყვარულისათვის, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდობა ეკიდება საბჭოთა სამშობლოს, ლენინის პარტიას, იმ უდიდესი წვლილისათვის, რომელიც კომკავშირს შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში.

კომკავშირი — რა შესანიშნავი პოლიტიკური სკოლაა! ბევრი რამ მოგვცა მან ყოველ ჩვენგანს! კომუნიზმის საქმისათვის რამდენი აქტიური მებრძოლი, რამდენი მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო შრომის ოსტატი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს რამდენი თვალსაჩინო მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი, კონსტრუქტორი, მხედართმთავარი, ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფე გამოვიდა კომკავშირის სკოლიდან! და ახლა, როცა ჩვენი კომკავშირი ზეიმობს თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს, ყველანი სულითა და გულით ვეუბნებით: მადლობა შენ, ჩვენი მებრძოლი სიჭაბუკის სახელოვანო დროშავ! მადლობა შენ, რევოლუციური ენთუზიაზმით, ნოვატორობის ხალისით, სიჭაბუკის თავდადებული ენერგიით მარად მჩქეფარე ახალგაზრდა ლენინელთა კავშირო! კვლავაც იყავი ისეთი, როგორიც ამ 50 წლის მანძილზე ყოფილხარ! წინ გაუძეხი საბჭოეთის ახალგაზრდობას შრომასა და გმირობაში ლენინის პარტიის დროშით კომუნიზმისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, წავიკითხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

**(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს არაერთგზის გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისადმი.

საზეიმო პლენუმის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კომუნისტური პარტიის მისალმებას კომკავშირისადმი.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

# ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

## სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისათვის ორდენის გადაცემის დროს

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ კომკავშირელებს, საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, უფროს თაობათა ადამიანებს, რომელთა ახალგაზრდობა განუყრელად დაკავშირებული იყო კომკავშირთან, და ამ საზეიმო კრების ყველა დამსწრეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე და სამშობლოს მაღალი ჯილდოთი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოება.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითად და ამაღლებულ სიტყვაში მოცემულია კომკავშირის საქმიანობის მაღალი შეფასება. და მართლაც, ამხანაგებო, ორმოცდაათი წლის მანძილზე კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით ბრძოლისა და სახელოვან საქმეთა დიდი, ჭეშმარიტად გმირული გზა განვლო.

განაგრძობენ რა სახელოვან ტრადიციებს, ლენინური კომკავშირი, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახლაც წარმატებით და თავდადებით შრომობენ კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

შემოქმედებითი ყოველდღიურობის ჰეროიკაში, კომკავშირულ დაკვრითს მშენებლობებზე, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში იჩქედება საბჭოთა ახალგაზრდობის ხასიათი — მისი რევოლუციური ენთუზიაზმი, მებრძოლური მგზნებარება, შრომისმოყვარეობა, სიმტკიცე, გულმოდგინება და დაუშრეტელი ენერგია დასახული მიზნების მიღწევაში, პატრიოტიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უაღრესი ერთგულება. სოციალისტური წყობილება, საბჭოთა კონსტიტუცია თვითეული ახალგაზრდის წინაშე სახავენ უფართოეს შესაძლებლობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მთელი მისი უნარის გამოვლინებისათვის. კომკავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის აღსაზრდელად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აბამს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, პოლიტიკური და შრომითი საქმიანობის ფართო გზაზე გამოჰყავს ისინი.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის დაჯილდოება ორდენით, რომელიც დაწესებულია დიდი ოქტომბრის 50 წლის აღსანიშნავად, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო აღიარებენ კომკავშირის შესანიშნავ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს დამსახურებას.

მეექვსე ორდენი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომელიც დღეს დაამშვენებს ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის სახელოვან დროშას, — ეს არის ჯილდო, რომელიც ეძლევა ყველა თაობის კომკავშირელებს: ჭაღარა ვეტერანებსა და დღევანდელ კომკავშირელებს.

ეს ჯილდო ეძლევა სამოქალაქო ომის გმირებს, პირველი ხუთწლედების ინდუსტრიის გიგანტების შემქმნელებს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის აქტივისტებს, მუშფაკელებს, იმათ, ვისაც იერიში მიჰქონდა მეცნიერების ციხესიმაგრეზე.

ეს ჯილდო ეძლევა დიდი სამამულო ომის გმირებს, მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის მშენებლებს, მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურების შემქმნელებს, ყამირის დამპყრობლებს.

ეს ჯილდო ეძლევა იმათაც, ვინც ახლა ქმნის მანქანებს, ადნობს ფოლადს, ხნავს მინდვრებს, ასწავლის ბავშვებს, სწვდება მეცნიერების საიდუმლოებებს, კვალავს კოსმოსურ ტრასებს, აღწევს ახალ მწვერვალებს ხელოვნებასა და კულტურაში, გეგმავს და აშენებს ქალაქებს, საიმედოდ იცავს მშვიდობიან შრომას, აძლიერებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას.

ეს ჯილდო ეკუთვნის ჩვენი თვალუწვდენი და ძლევამოსილი სამშობლოს ყველა კომკავშირელს, ახალგაზრდობის მთელ კომუნისტურ კავშირს, რომელიც ღირსეულად და დამსახურებულად ატარებს დიდი ლენინის სახელს.

ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ლენინური კომკავშირის დაჯილდოების შესახებ.

„კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის თვალსაჩინო დამსახურებისა და დიდი წვლილისათვის საბჭოთა ხელისუფლების ქმნადობასა და განმტკიცებაში, სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, აქტიური მონაწილეობისათვის სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდაში და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით დიდი სიხარულით გადავცემ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს ოქტომბრის რევოლუციის ორდენს.

დარბაზის ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს აბნევს ლენინური კომკავშირის დროშას.

ძვირფასო ამხანაგებო!

აღვნიშნავთ რა კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დამსახურებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მამაცობასა და გმირობას, რომელიც გამოიჩინეს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, აქტიურ მუშაობას ახალგაზრდობის აღზრდაში, და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ორდენებით დაჯილდოებული არიან მთელი რიგი საქალაქო, რაიონული და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

ჩელიაბინსკის ოლქის მაგნიტოგორსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

კემეროვოს ოლქის ნოვოკუზნეცკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

წითელი დროშის ორდენით

ლუგანსკის ოლქის კრასნოდონის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ხმელნიცკის ოლქის შეპეტოვკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

ნიკოლაევის ოლქის პერვომაისკის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

მინსკის ოლქის ლუბანის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

შრომის წითელი დროშის ორდენით

თათრეთის ასსრ ალმეტიევსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

სარატოვის ოლქის ბალაკოვის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

პერმის ოლქის ბერეზნიკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

მოსკოვის ოლქის ვოსკრესენსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

კრასნოიარსკის მხარის დივნოგორსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

გორკის ოლქის ძერჟინსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

სვერდლოვსკის ოლქის კაჩკანარის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

კუიბიშევის ოლქის ნოვოკუიბიშევსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ზღვისპირეთის მხარის ნახოდკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ალტაის მხარის რუბცოვსკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ბაშკირეთის ასსრ სალავათის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

კრასნოდარის მხარის კურგანაიას რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

კიევის ოლქის კაგარლიკის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

ვიტებსკის ოლქის ნოვოპოლოცკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ხორეზმის ოლქის იანგი-არიკის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

ჩიმკენტის ოლქის კენთაუს საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

კუსტანაის ოლქის კომსომოლსკის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

აზერბაიჯანის სსრ სუმგაითის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ლიტვის სსრ კაპსუკასის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

მოლდავეთის სსრ კოტოვსკის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

ლიტვის სსრ დაუგავპილსის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ოშის ოლქის ლენინის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

ტაჯიკეთის სსრ ნურეკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

თურქმენეთის სსრ ნებით-დაღის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ესტონეთის სსრ კოხტლა-იარვეს საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

მოსკოვის ა. ი. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია.

ლენინგრადის კიროვის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

სტავროპოლის მხარის ნევინომისკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ხერსონის ოლქის ნოვოკახოვკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ტაშკენტის ოლქის ჩირჩიკის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

ცელინოგრადის ოლქის ერმენთაუს რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია.

ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ ვულოცავ ახალგაზრდათა სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს 50 წლისთავს და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებას, მხურვალედ ვულოცავ აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი ჯილდოებით დაჯილდოებულ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც პარტიის ერთგული თანაშემწე იქნება კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანების განხორციელებაში.

სულითა და გულით ვუსურვებ ყველა კომკავშირელს, ჩვენი დიადი სამშობლოს მთელ ახალგაზრდობას წარმატებებს სწავლასა და შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, ბედნიერებასა და სიხარულს თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს.

* * *

საპასუხო სიტყვაში სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა ლენინური კომკავშირის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და აღუთქვა, რომ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი კვლავაც კომუნისტთა ლენინური პარტიის ერთგული თანაშემწე იქნება.

სიტყვა მოხსენებისათვის „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორმოცდაათი წელი" ეძლევა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. მ. ტიაჟელნიკოვს.

# ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ!

# სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის 50 წელი

## შინაარსი ე. მ. ტიაჟელნიკოვის მოხსენებისა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე 1968 წლის 25 ოქტომბერს

[illegible] დობისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომკავშირისადმი.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, მთელი კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით მხურვალე მადლობისა და მადლიერების სიტყვები ვუთხრა ჩვენს პარტიას, მის მებრძოლ შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომკავშირის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავი კომკავშირელთა, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სასიხარულო დღესასწაულია. როგორც დიდ მოვლენას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აღნიშნავენ მას კომუნისტური პარტია, დიდი საბჭოთა ხალხი, ჩვენი თანატოლები — მებრძოლი ამხანაგები პლანეტის ყველა კუთხეში.

ლენინმა და პარტიამ შექმნეს, აღზარდეს და გამოწრთვნეს კომკავშირი, შეაიარაღეს იგი მაღალი და კეთილშობილური მიზნით, შთააგონეს სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის უკვდავი იდეები.

პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირის მიერ განვლილი ნახევარი საუკუნის გამოცდილება მოწმობს, რომ ახალგაზრდობა ერთგულად იცავს ლენინიზმს, პარტიის საქმეს, ხელს უწყობს კომუნიზმის გამარჯვებისათვის მტკიცე მებრძოლთა აღზრდას.

თავის იუბილეს ლენინური კომკავშირი აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

ყველაფერი, რითაც ცხოვრობს, რაზეც ოცნებობს დღეს საბჭოთა ახალგაზრდობა, დღევანდელი კომკავშირული დღესასწაულის მთელი სიხარული განუყრელად დაკავშირებულია პარტიასთან, ლენინთან, დიდ ოქტომბერთან.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ბედი. სოციალიზმმა იხსნა ახალგაზრდობა ექსპლოატაციისაგან, პოლიტიკური უუფლებობისაგან, გაუკვალა შემოქმედებითი შრომის, ცოდნისა და კულტურის გზა, ჩაუნერგა ხვალინდელი დღის რწმენა.

და ყველაფერს, რაც დღეს აქვს ახალგაზრდა თაობას, იგი უნდა უმადლოდეს პარტიას, მის ბრძნულ ხელმძღვანელობას, მის დედობრივ სიყვარულს.

პარტიის ზრუნვის ახალი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“.

უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ამ დოკუმენტში განსაზღვრულია თანამედროვე ეტაპზე კომკავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულიად საკავშირო ალკკ როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას სამეურნეო, კულტურულ, სახელმწიფო მშენებლობაში.

ნება მიბოძეთ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის სახელით, მთელი კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით აღვუთქვა კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს დიდ ხალხს, რომ ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კვლავაც პარტიის, ხალხის, სოციალისტური სამშობლოს ღირსეული და ერთგული შვილი იქნება!

ბოლშევიკების პარტია იყო კომკავშირის შექმნის ინიციატორი, განაგრძობს ე. მ. ტიაჟელნიკოვი. ისტორიამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ მუშათა კლასთან ერთად, მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით ეძლევათ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს თავიანთი უფლებებისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის წარმატებით ბრძოლის რეალური შესაძლებლობანი.

პარტიამ მიზნად დაისახა ბრძოლა ყველა ექსპლოატირებულთა განთავისუფლებისათვის და ამით გამოხატა მშრომელი ახალგაზრდობის ძირეული ინტერესებიც, რევოლუციის მხარეზე მიიზიდა ათასობით ახალგაზრდა მებრძოლი, გააერთიანა ისინი პროლეტარული დროშებით. „ჩვენ მომავლის პარტია ვართ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა. ჩვენ ვართ პარტია ძველი სიდამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა, ხოლო თავგანწირულ ბრძოლაში ყოველთვის პირველი წავა ახალგაზრდობა“. (თხზ., ტ. 11. გვ. 422).

გადამწყვეტ ჟამს, როცა შეიარაღებული აჯანყების კურსს სახავდნენ, ბოლშევიკებმა თავიანთ VI ყრილობაზე სპეციალურად განიხილეს ახალგაზრდობის კავშირების როლის საკითხი.

ოქტომბრის ისტორიულ დღეებში მამებისა და უფროსი ძმების მხარდამხარ იბრძოდნენ ახალგაზრდა მუშები და გლეხები, ჯარისკაცები და მატროსები ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

1918 წლის 29 ოქტომბერს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების I სრულიად რუსეთის ყრილობამ გამოაცხადა კომკავშირის დაბადება. პირველად შეიქმნა ახალი ტიპის ერთიანი ახალგაზრდული ორგანიზაცია — კომუნისტური თავისი მიზნებითა და ამოცანებით, მასობრივი და თვითმოქმედი თავისი ხასიათით, რომელიც მტკიცედ იდგა კომუნისტური პარტიის პოზიციებზე, მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით.

ისინი, პირველი კომკავშირელები, ცოტანი იყვნენ, სულ ოცდაორი ათასი. მაგრამ ეს იყო სამყაროს განახლების დიადი იდეით აღფრთოვანებული რევოლუციის ოცდაორი ათასი ახალგაზრდა მებრძოლი. ისინი თავდავიწყებით გადაეშვნენ მჩქეფარე ცხოვრებაში და ხელში აიღეს შაშხანა, წიგნი და ბარი.

რევოლუციის ქარცეცხლი დააქროლებდა ახალგაზრდობას აბობოქრებული უკრაინის ველებზე, წყნარი დონისა და ვოლგის გადაბუგულ ნაპირებზე, ზღვისპირეთის გორაკებზე, ციმბირისა და ჭალარა ურალის თოვლში. ბრძოლაში ვაჟკაცდებოდა და იზრდებოდა კომკავშირი, იგი თავის რიგებში უხმობდა იმათ, ვინც მუშათა და გლეხთა საქმის, პარტიის საქმის ერთგული იყო.

საბჭოთა რესპუბლიკამ კომკავშირის დამტვერილ გიმნასტურას პირველი ჯილდო მიაბნია — საბრძოლო წითელი დროშის ორდენი.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყვნენ გარეკილი საბჭოთა მიწა-წყლიდან ინტერვენტები და უწმინდური თეთრები, ჯერ არ ჩამომხდარიყვნენ ცხენებიდან გულოვანი ბუდიონელები, პარტიამ, ლენინმა კი მოუხმეს ახალგაზრდობას ჩარხთან და გუთანთან, მერხთან და შავ დაფასთან.

პარტია, ლენინი ქმნიდნენ კომკავშირს, როგორც ახალგაზრდა რევოლუციონერთა ორგანიზაციას. რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე, მკაცრ 1920 წელს, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კომკავშირს ელაპარაკებოდა ყველაზე ძირეულ, ყველაზე მთავარ მის ამოცანებზე პროლეტარიატის გამარჯვებული დიქტატურის პირობებში.

ლენინის ისტორიულ სიტყვას წარუვალი მნიშვნელობა აქვს. იგი იყო და არის კომუნისტური ახალგაზრდობის ბრძოლის პროგრამა, უდიდესი წვლილია მარქსისტულ თეორიაში, ბელადის დიდი ანდერძია ახალგაზრდა თაობისადმი.

1924 წლის ივლისში რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობამ დაადგინა ლენინური ეწოდებინათ კომკავშირისათვის. ყრილობის მანიფესტში ნათქვამი იყო: „არა მახვილსიტყვაობისათვის, არა იმისათვის, რომ ყველაზე საუკეთესო სახელს ვატარებდეთ... მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. არა, ჩვენ იგი მივიღეთ იმისათვის, რომ სსრ კავშირში მცხოვრები ყველა ერის მთელი მშრომელი ახალგაზრდობა თავის მოწინავე რაზმთან — ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ერთად განიმსჭვალოს ერთიანი ნებითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ისწავლოს ლენინურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა, ასრულოს ანდერძი, რომელიც ლენინმა დაგვიტოვა...“

კომკავშირის მთელი გმირული ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს მის ურყევ ერთგულებას ამ წმიდათა-წმიდა ფიცისადმი!

კომკავშირელთა ყველა თაობის ცხოვრების გარდუვალი კანონი გახდა ლენინის სიტყვები: „მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომით შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი“.

ლენინის ანდერძისადმი ერთგულების გამოცდა იყო საბჭოთა ახალგაზრდობისათვის დაუვიწყარი პირველი ხუთწლედების წლები. მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო ლენინური კომკავშირის შრომითი დიდება, რომელსაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს იმით, რომ თავისი წილი აგური ჩადო საბჭოთა სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების საძირკველში.

კომკავშირის გზაზე გმირულ ნიშანსვეტებად გადაიქცნენ კუზნეცკი და მაგნიტკა, დნეპრჰესი და თურქესტან-ციმბირის რკინიგზა, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და ამურის კომსომოლსკი.

დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების საქმეში გამოჩენილი ინიციატივისათვის ლენინური კომკავშირი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

სოციალიზმმა მთლიანად გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ხალხმა იცოდა: იმპერიალისტები არც ერთ წუთით არ კარგავდნენ იმედს, რომ სსრ კავშირში აღდგებოდა კაპიტალისტური წყობილება. კომუნისტების პარტია ხედავდა ახალი ომის საფრთხეს, ამზადებდა ქვეყანას რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

ხალხის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ომის წლების მრისხანე დღეები. ოთხ წელიწადს მძვინვარებდა თავისი მასშტაბებით უმაგალითო ბრძოლა. საქმე ეხებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნას, მთელი კაცობრიობის ბედს.

პარტიის მოწოდებით სამშობლოს დასაცავად აღდგა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი. მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

ყოველ ათ ლენინგრადელ კომკავშირელთაგან ცხრა მოწინავე ხაზზე წავიდა. ომის პირველ დღეებშივე ორას სამოცი ათასი მეომარი მისცა ფრონტს მოსკოვის კომკავშირმა.

მამებისა და უფროსი ძმების ადგილზე ჩარხებთან დგებოდნენ მოზარდები. ქალები, კომკავშირელი ქალიშვილები ეუფლებოდნენ მამაკაცის პროფესიებს. ურალის, ციმბირის, ვოლგისპირეთის კომკავშირელები იყვნენ კომკავშირულ-ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადების შექმნის ინიციატორები.

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის დიდი სამამულო ომის წლებში და სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღსაზრდელად დიდი მუშაობისათვის სრულიად საკავშირო ალკკ ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

მძიმე ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ახალგაზრდობა კვლავ თავდადებისა და შრომითი გმირობის მაგალითს იძლეოდა. კომკავშირის ეს გმირობა სამშობლომ მეორე ლენინის ორდენით აღნიშნა.

კომუნისტურმა პარტიამ ხალხს დაუსახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ახალი ამოცანები, ამ წლებში კომკავშირმა განაგრძო და განავითარა დამკვრელური მშენებლობის, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი უბნებისადმი შეფობის სახელოვანი ტრადიციები.

კომკავშირული საგზურებით უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მილიონ რვაასი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მოვიდა ქვეყნის ახალმშენებლობებზე.

სოციალისტურ მშენებლობაში კომკავშირელებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დამსახურებისათვის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში თავდადებული შრომისათვის კომკავშირი დაჯილდოვდა მესამე ლენინის ორდენით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა სკკპ XXIII ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის აქტუალური ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ამოცანები.

საბჭოთა ახალგაზრდობა მხურვალედ იწონებს პარტიის მიერ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დასახულ ღონისძიებებს და მთელ ხალხთან ერთად მტკიცედ იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

ქალიშვილები და ჭაბუკები შეადგენენ მრეწველობაში და მშენებლობაზე მომუშავეთა ნახევარს, სოფლის მეურნეობის მშრომელთა დაახლოებით ორმოც პროცენტს. კომუნისტური შრომის მილიონობით დამკვრელნი, ახალგაზრდა რაციონალიზატორები და გამომგონებლები, პროფესიის მიხედვით საუკეთესოსათვის კონკურსების ასეულათასობით მონაწილენი, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, საკვლევ-საძიებო ჯგუფები, „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმები — სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ფორმები.

ლენინური კომკავშირის 50 წლის იუბილემ საბჭოთა ახალგაზრდობის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი იღებს უამრავ დეპეშას, წერილს, რომლებშიც ახალგაზრდული კოლექტივები, ცალკეული კომკავშირელები უპატაკებენ თავიანთ შრომით წარმატებებს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეთა სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას, რომლებმაც დიდი შედეგები მოიპოვეს შრომაში, გამოვთქვა რწმენა, რომ მომავალშიც მთელ თავიანთ ძალღონეს, ენერგიას, ცოდნას მოახმარენ კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისათვის მზადება და დღესასწაულობა დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების გზაზე, განაგრძობს შემდეგ ორატორი. ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა 1970 წლის 7 ნოემბერს შესრულებისათვის.

ლენინური კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმე იქნება მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ახალი რაიონების სიმდიდრის შემდგომ ათვისებაში.

დიდი ლენინის იუბილეს აღსანიშნავად კომკავშირი კისრულობს 100 უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტის მშენებლობის შეფობას. მათ შორის არის მსოფლიოში უდიდესი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური, ჩრდილოეთ-ცენტრის გაზსადენი, ქალაქ ტოლიატის ავტოქარხანა და ბევრი სხვა მშენებლობა.

პარტიამ დასახა დიადი მიზანი — იხსნას სოფლის მეურნეობა ბუნების ჰირვეულობისაგან. ჩვენს ქვეყანაში შენდება დიდი სარწყავი სისტემები. ეს ჩვენი კომკავშირული საქმეც არის. თავისი შრომა მოახმაროს მიწათმოქმედის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას — უფრო კეთილშობილური საქმე რა უნდა იყოს კომკავშირელისათვის, ყმაწვილი კაცისათვის!

კომუნისტური მშენებლობის ძირითადი პრობლემაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ თვითეული ახალგაზრდა მშრომელი დღენიადაგ სრულყოფდეს თავის პროფესიულ ოსტატობას, სამაგალითო იყოს შრომაში, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, შეგნებული ჰქონდეს პირადი იდეალებისა და ხალხის დიადი მიზნების განუყრელი კავშირი.

ჩვენი მრავალმილიონიანი კომკავშირი, განაგრძობს ორატორი, წარმატებით ასრულებს პარტიის უმნიშვნელოვანეს დავალებებს იმიტომ, რომ ყოველთვის იზრდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, იმიტომ, რომ მთელი მისი საქმიანობა გამსჭვალულია ამ დიადი მოძღვრების იდეებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი და მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი მიაჩნია საბჭოთა ახალგაზრდობას თავის იდეურ დროშად, მოქმედების სახელმძღვანელოდ.

ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე კომკავშირმა თავის მთავარ ამოცანად გამოაცხადა კომუნიზმის იდეების გავრცელება. და მთელი 50 წლის მანძილზე იგი თანმიმდევრულად და განუხრელად მუშაობს ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

ლენინური კომკავშირი კვლავაც აღზრდის ახალგაზრდობას კომუნისტური პარტიის გამოცდილებით, ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, განუვითარებს მას საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას.

ლენინის იუბილესათვის მზადება იქნება ახალი ეტაპი საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ დიდი ბელადისა და მასწავლებლის იდეური მემკვიდრეობის ათვისებაში. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის თვითეული კომკავშირელი უპატაკებს სამშობლოს თავის წარმატებებს ლენინიზმის საფუძვლების შესწავლაში, მიღწევებს შრომაში, სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

იმპერიალიზმი ეწევა გააფთრებულ იდეოლოგიურ ომს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება.

ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი აპარატი ახლა ხმარდება იმას, რომ შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, დაქსაქსოს თანამედროვეობის მოწინავე ძალები, სცადოს შიგნიდან გამოუთხაროს ძირი სოციალისტურ საზოგადოებას.

პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით კომკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ ღონისძიებებს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთან იყენებენ კომუნისტური აღზრდის საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების მთელ არსენალს.

კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი ადგილი უჭირავს კომკავშირულ პრესას, რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ რედაქციებს. კომკავშირი უშვებს 219 გაზეთსა და ჟურნალს. მარტო „კომსომოლსკაია პრავდის“ — ჩვენი ახალგაზრდული პრესის ფლაგმანის ტირაჟი 7 მილიონს აღწევს. კომკავშირული გამომცემლობანი ყოველწლიურად უშვებენ 40 მილიონამდე ეგზემპლარ წიგნს. ბოლშევიკური პრესის ტრადიციების ერთგული კომკავშირული პრესა სულ უფრო აქტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი, ახალგაზრდობის ფართო მასების უნარიანი ორგანიზატორი ხდება.

სამოქალაქო ომის ახალგაზრდა გმირებზე, პირველი ხუთწლედების მშენებლებზე, დიდი სამამულო ომის უდრეკ, მამაც ჯარისკაცებზე დაწერილია ბევრი კარგი წიგნი, შექმნილია შესანიშნავი სპექტაკლები და ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები და მხატვრული ტილოები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდნენ.

ჩვენი ახალგაზრდობა ამაყობს თავისი მშვენიერი ქვეყნით, მისი ძლიერებითა და სიდიადით. კომკავშირის ცხოვრებაში ახალი შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. ეს არის სრულიად საკავშირო ლაშქრობანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. ეს მოძრაობა რევოლუციონერის, მებრძოლის, პატრიოტის მორალური თვისებების აღზრდის მძლავრი საშუალება გახდა.

კომკავშირული ორგანიზაციები თვითეულ ახალგაზრდას უნერგავენ მზადყოფნას იარაღით ხელში დადგეს საბჭოთა ქვეყნის დასაცავად, ზრუნავენ ახალგაზრდობის მომზადებაზე სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის, ხელს უწყობენ „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონის განუხრელ შესრულებას.

კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა ზრუნვა ახალგაზრდის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებისათვის, კომუნისტური ზნეობის აღზრდისათვის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების კულტურის ამაღლებისათვის. საჭიროა ახალგაზრდობას ვასწავლოთ გონივრულად გამოიყენოს თავისი თავისუფალი დრო.

კომკავშირული კომიტეტები პროფკავშირებთან, კულტურის ორგანოებთან ერთად საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა უფრო სრულად შეესაბამებოდეს თანამედროვე ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ასრულებს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, კომკავშირი აძლიერებს ზრუნვას ბავშვებისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის.

რევოლუციის დიდმა ბელადმა გვიანდერძა ბეჯითად და თანმიმდევრულად დავეუფლოთ მთელ იმ საუნჯეს, რომელიც შექმნა კაცობრიობამ.

ჩვენი ხალხი კულტურულ რევოლუციას უწოდებს ლაშქრობას ცოდნისათვის, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა მიუსხდა მერხს, რათა ესწავლა, ჩასწვდომოდა მეცნიერებას, სრულად აღჭურვილს ეშენებინა ახალი ცხოვრება. ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის შექმნის წელს ყოველ ათას კომკავშირელზე უმაღლესი განათლების მქონე ერთეულები მოდიოდა. ამჟამად თითქმის ყოველ მეორე კომკავშირელს აქვს უმაღლესი თუ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტის დიპლომი, სიმწიფის ატესტატი. კომკავშირში 860 ათასი ინჟინერი, 525 ათასი ექიმი და პედაგოგია.

საყოველთაო წიგნიერება, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების რვა მილიონნახევარი სტუდენტი, 50 მილიონი სკოლების მერხებთან, 165 ათასი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი — აი ჩვენი დღევანდელი პასუხი ლენინის მოწოდებაზე.

ლაშქრობა ცოდნისათვის, რაც 50 წლის წინათ დაიწყო, ახლაც გრძელდება. ასრულებს რა ლენინის ანდერძს, კომკავშირს თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახული აქვს ამ ლაშქრობის შემდგომი განვითარება.

ჩვენი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი აქტიური რაზმია საბჭოთა სტუდენტობა. ესენი არიან მომავალი პედაგოგები და ექიმები, ინჟინრები და აგრონომები, წარმოების მეთაურები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. აი რატომ უნდა ზრუნავდნენ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები იმისათვის, რომ სტუდენტებს ჩამოუყალიბონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი საქმიანობის, შემოქმედებითი აზროვნების, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი ინტერესის ჩვევები.

უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირის დიდი საზოგადოებრივი აქტივობის გამოვლინება გახდა სტუდენტთა სამშენებლო რაზმები. წელს 270 ათასი სტუდენტი მუშაობდა ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, სოფლად აშენებდა სკოლებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტებს, ეწეოდა იქ დიდ აღმზრდელობითს მუშაობას.

წლითიწლობით ახალგაზრდავდება ჩვენი მეცნიერება. ახალგაზრდობას დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერების ისეთ უახლეს დარგებში, როგორიც არის კიბერნეტიკა, მათემატიკური ლოგიკა, გენეტიკა, ბირთვული ფიზიკა.

ჩვენ ვცხოვრობთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში და ამიტომ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ამოცანა ის არის, რომ „გავშალოთ ახალგაზრდობის ნამდვილად მასობრივი მოძრაობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალების დაუფლებისათვის. პოლიტიკურად მომწიფებული და უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობა უფრო ნაყოფიერ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში“.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი თხოვნით მიმართავს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთაურებს, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს უფრო მეტად იზრუნონ ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების განვითარების, პროფესიული ოსტატობის ზრდის საჭირო პირობების შექმნისათვის, რათა მოძრაობა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დაუფლებისათვის ნამდვილად მასობრივი გახდეს.

ლენინური კომკავშირი, ამბობს ე. მ. ტიაჟელნიკოვი, საერთაშორისო კომუნისტური და დემოკრატიული ახალგაზრდული მოძრაობის მებრძოლი რაზმია. ინტერნაციონალიზმი ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა ოქტომბრის რევოლუციურმა გრიგალმა, იგი გახდა საბჭოთა ხასიათის განუყოფელი თვისება. ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კომკავშირი ყოველთვის იყო იმათთან, ვინც მტკიცედ იბრძოდა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ახალგაზრდა თაობის უკეთესი მომავლისათვის. ლენინური კომკავშირი იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ინტერნაციონალური მოვალეობისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის ერთგულების მკაფიო მაგალითია სულ უფრო მზარდი დახმარება და მხარდაჭერა მებრძოლი, გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვის მთლიანად და უპირობოდ შეწყვეტას, ამერიკის ჯარების გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან, ვიეტნამელი ხალხისათვის იმის უფლების მიცემას, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

საერთაშორისო დემოკრატიული ახალგაზრდული მოძრაობის აქტიური ძალაა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის კავშირები. საბჭოთა ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებაში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს და დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი.

ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის მონაპოვართათვის მტკიცე მხარდაჭერით გამოვლინდა ინტერნაციონალური მოვალეობის ჩვენი პროლეტარული გაგება, ჩვენი მზადყოფნა ბოლომდე ვიცავდეთ რევოლუციის საქმეს, სოციალიზმის საქმეს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მოძმე ქვეყნის ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სოციალიზმის დროს, ერთადერთი მომავალია სოციალისტური მომავალი.

ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ხუთი სოციალისტური ქვეყნის პარტიათა და მთავრობათა დროულ მოქმედებას ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციის აღკვეთისათვის, სოციალიზმის დაცვისათვის.

დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა, რომ სოციალისტური ქვეყნის ხალხები არავის არასოდეს არ მისცემენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების, ჩვენი მეგობრობისათვის ძირის გამოთხრის ნებას, რომ ყოველთვის მზად იქნებიან საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალისტთა ყოველ ხრიკსა და ავანტიურას!

კომკავშირული სალამი სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდობას! ვუსურვებთ მას ახალ წარმატებებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში!

მტკიცდება ლენინური კომკავშირის ურთიერთობა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან. მათ ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა, რადგან იმპერიალიზმი, რომელიც ზედიზედ კარგავს პოზიციებს, თავს ესხმის პროგრესულ, რევოლუციურ მშრომელ სტუდენტ ახალგაზრდობას.

კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა ამაყობს თავისი კლასობრივი ძმების სიმამაცით, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებებს აღწევენ. გიძღვნით მებრძოლურ კომუნისტურ სალამს და გისურვებთ ახალ წარმატებებს მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, ახალგაზრდობის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური უფლებებისათვის, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

ჩვენ მხარს ვუჭერთ არაბული ქვეყნების ხალხებს იმპერიალიზმის მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოვითხოვთ ისრაელ აგრესორთა მხრივ ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან!

ვითარდება საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრული კავშირი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდობისა და სტუდენტობის ორგანიზაციებთან.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის მახლობელი და გასაგებია კეთილშობილური მიზნები ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლისა ამერიკული იმპერიალიზმის და ეროვნული ოლიგარქიების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის საქმიანობაში, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ პროგრესულ ახალგაზრდობის ფართო ფენებს.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოფიის IX მსოფლიო ფესტივალმა ერთხელ კიდევ ცხადყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წარმატებანი, ახალგაზრდობის მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

ჩვენ დიდად გვაღელვებს ჩინეთის ახალგაზრდობის ბედი. მაო ძე-დუნის შოვინისტური, დიდმპყრობელური კურსი სერიოზულ ზიანს აყენებს სოციალიზმის საქმეს ჩინეთში, მოზარდი თაობის აღზრდას.

ეგრეთწოდებული „კულტურული რევოლუცია“ რომ წამოიწყო, მაო ძე-დუნის ჯგუფმა გარეკა კომკავშირი, მოატყუა ახალგაზრდობა, ხუნვეიბინთა და ძაოფანთა ხულიგნური რაზმები გამოიყენა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, პარტიული კომიტეტების, ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოების დასარბევად. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ჩინელი ხალხი, მისი ახალგაზრდობა შეძლებენ გადალახონ ყველა სიძნელე და შეინარჩუნონ სოციალისტური მონაპოვარნი თავიანთ ქვეყანაში.

თავისი ნახევარი საუკუნის იუბილეზე კომკავშირი ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე საბჭოთა ახალგაზრდობა კვლავაც მაღლა ატარებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას.

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე კომკავშირი გამოვიდა როგორც საბჭოთა საზოგადოების აქტიური რევოლუციური, შემოქმედებითი ძალა, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა მომზადების სკოლა, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ორმოცდაათი წლის მანძილზე სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში იდეური წრთობა მიიღო ას მილიონამდე კაცმა. კომკავშირის მილიონობით აღზრდილი მიღებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. დღეს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი — ახალგაზრდობის საბრძოლო ავანგარდი — აერთიანებს საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ეროვნებისა და ერის 23 მილიონზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს.

XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებმა შექმნეს კომკავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მისი საქმიანობის მასშტაბის გაფართოების, მისი ინიციატივის განვითარების ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

პარტიული ხელმძღვანელობა ლენინური კომკავშირის ძალის, სიმტკიცისა და ბრძოლისუნარიანობის მთავარი წყაროა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად ზრუნავს საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, ლენინური კომკავშირისათვის, ხელმძღვანელობს მის მუშაობას, განსაზღვრავს მისი საქმიანობის პერსპექტივებს.

„ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანათა გადაჭრა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“, — მოითხოვს კიდევ უფრო გავადიდოთ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის როგორც მასობრივი, თვითმოქმედი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის, პარტიის რეზერვის, მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში მისი უახლოესი თანაშემწის როლი“.

კომკავშირის როლის ამაღლება ითვალისწინებს მის უფრო ფართო მონაწილეობას სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობაში.

სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის წინა ხანებში ჩვენ ქვეყანაში გაიმართა სრულიად საკავშირო კომკავშირული კრება — ჩვენი ძალების საბრძოლო შემოწმება, ჩვენი მიღწევების დათვალიერება, ჩვენი ანგარიში პარტიისა და ხალხის წინაშე გაწეული მუშაობის შესახებ. კრება გაიმართა 350 ათას კომკავშირულ ორგანიზაციაში. მასში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თაობის 50 მილიონმა კომკავშირელმა. კრებაზე გამოვიდა 8 მილიონამდე კომკავშირელი, პარტიისა და კომკავშირის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანები. მან კიდევ ერთხელ ცხადყო ყველა თაობის საბჭოთა ადამიანების მონოლითური მემკვიდრეობითობა, 60-იანი წლების ახალგაზრდა თაობის მზადყოფნა ახალი საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ. სრულიად საკავშირო კომკავშირული კრების დროს 860 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი შევიდა სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო წერილები, პატაკები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გამოხატავს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას. უპატაკებს მიღწეულს, სახავს ახალ მიჯნებს.

აი უკვე ორმოცდაათი წელია ლენინური კომკავშირი ცხოვრობს, შრომობს და იბრძვის კომუნისტთა დიადი პარტიის ხელმძღვანელობით. უმაგალითო განსაცდელის მძიმე წლებში და აღმშენებლობის სასიხარულო შემოქმედებაში კომკავშირი მიჰყვებოდა კომუნისტურ პარტიას, იყო მისი ერთგული და საიმედო თანაშემწე.

ჩვენმა მონოლითურმა და ერთიანმა პარტიამ გაუძლო ყველა გამოცდას, დაიწყო ახალი, მშვენიერი კომუნისტური სამყაროს მშენებლობა და ბრწყინვალედ განაგრძობს მას, მთელ კაცობრიობას უკვალავს მომავლის გზას.

დიდი ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის საქმეებში. პარტია მოგვიწოდებს ვსწავლობდეთ კომუნიზმს.

კომკავშირელისათვის ყველაზე სანუკვარი ოცნებაა გახდეს კომუნისტი, რადგან არ არის უფრო წმინდა, უფრო მიმზიდველი და კეთილშობილური წოდება ამ ქვეყნად! კომუნისტი — ეს არის რევოლუციონერი, ნოვატორი, ადამიანებისადმი სამსახურის დიადი იდეით შთაგონებული მაღალი აზრის ადამიანი.

აღვნიშნავთ რა კომკავშირის 50 წლისთავს, ფიცსა ვდებთ, რომ კომუნისტთა პარტიის ერთგულნი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, რევოლუციის დიადი საქმის ერთგულნი ვიქნებით!

# ორბიტაზეა „სოიუზ-3“

# ფრენა წარმატებით გრძელდება

## საქდესის ცნობები

26 ოქტომბერს 18 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-3“-მა დაამთავრა დედამიწის ხუთი გარშემოვლა.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-თან რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს კოსმონავტმა მფრინავმა გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოიმ გადმოსცა, რომ ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება, იგი თავს კარგად გრძნობს.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-ის ბორტის სისტემები ნორმალურად მუშაობს: წნევა ხომალდის კაბინაში ვერცხლის წყლის სვეტის 760 მილიმეტრია, ტემპერატურა — 17 გრადუსი ცელსიუსით.

დასახული პროგრამის შესაბამისად განხორციელდა კოსმოსური ხომალდის ორიენტაცია მზის მიმართ.

მეხუთე გარშემოვლის დროს კოსმონავტი მფრინავი ბერეგოვოი გადავიდა ხომალდის ნაკვეთურში, რომელიც კოსმონავტის კაბინას ემიჯნება და გათვალისწინებულია მეცნიერული კვლევის შესრულებისა და კოსმონავტის დასვენებისათვის.

26 ოქტომბერს 19 საათიდან და 18 წუთიდან 27 ოქტომბრის 5 საათსა და 16 წუთამდე ხომალდი „სოიუზ-3“ განახორციელებს ფრენას საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ.

ამ დროის განმავლობაში კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი დაისვენებს.

დღეს, 1968 წლის 27 ოქტომბერს 5 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“, რომელსაც მართავს კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი, შევიდა შორეული აღმოსავლეთის საზომი პუნქტების რადიოხილვადობის ზონაში და დაიწყო დედამიწის ირგვლივ მე-13 გარშემოვლა.

10 საათის შესვენების შემდეგ დედამიწის სათვალთვალო სამსახურმა კვლავ პირდაპირი რადიოკავშირი დაამყარა ამხანაგ ბერეგოვოისთან. გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოიმ გადმოსცა, რომ კარგად დაისვენა, თავს ჩინებულად გრძნობს, ხომალდის ყველა სისტემა კარგად მუშაობს.

4 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით იგი შეუდგა ფრენის მეორე დღის პროგრამის შესრულებას.

ამხანაგ ბერეგოვოის ეძინა სპეციალურ ნაკვეთურში, რომელიც გათვალისწინებულია კვლევის განხორციელებისა და დასვენებისათვის. კოსმონავტს კარგად ეძინა. ძილის შემდეგ შეასრულა ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსი და მადიანად ისაუზმა.

სამედიცინო-ბიოლოგიური კონტროლის სამსახურმა დაადასტურა, რომ კოსმონავტ მფრინავის ამხანაგ ბერეგოვოის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. ძილის დროს მაჯისცემა იყო წუთში 56-60, სუნთქვის სიხშირე წუთში — 16. ამჟამად მაჯისცემის სიხშირეა წუთში 64-66. ტელემეტრიის მონაცემებით, კარდიოგრამაში ცვლილებები არ არის. მისი ორგანიზმი კარგად შეეგუა კოსმოსური ფრენის პირობებს.

წნევა ხომალდის კაბინაში ნორმალურია და შეადგენს 780 ვერცხლის წყლის სვეტის 780 მილიმეტრს, ტემპერატურა — 21 გრადუსი ცელსიუსით.

შორეული აღმოსავლეთის საზომმა პუნქტებმა ხომალდ „სოიუზ-3“-დან მიიღეს კოსმონავტის მკაფიო სატელევიზიო გამოსახულება.

ვიეტნამის ტერიტორიას რომ გადაუფრინა, კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ბერეგოვოიმ ვიეტნამის გმირ ხალხს გადასცა მისალმება: „კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-დან მხურვალედ მივესალმები მამაც ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

27 ოქტომბერს კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ბერეგოვოიმ უნდა შეასრულოს მეცნიერული კვლევის დიდი პროგრამა. კოსმონავტთან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი.

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“ განაგრძობს ფრენას ორბიტაზე. 10 საათსა და 56 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-3“-მა დაამთავრა დედამიწის მე-16 გარშემოვლა. კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ბერეგოვოიმ რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს გადმოსცა, რომ შესრულა ამ პერიოდისათვის დასახული ყველა მეცნიერული ექსპერიმენტი.

კერძოდ ფრენის დროს კოსმონავტი მფრინავი აწარმოებდა მნათი ნაწილაკების დაკვირვებას. გადაიღო დედამიწის ღრუბლისა და თოვლის საფარის, დედამიწის დღისა და ბინდის ჰორიზონტების ფოტოსურათები.

რადიოკავშირის სეანსის დასასრულს კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ბერეგოვოიმ გადმოსცა: „ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. სისტემათა მუშაობის შესახებ არავითარი შენიშვნა არა მაქვს. თავს ჩინებულად ვგრძნობ“.

27 ოქტომბერს 18 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-3“-მა დაამთავრა დედამიწის 22-ე, ხომალდმა „სოიუზ-2“-მა კი 38-ე გარშემოვლა.

დღის განმავლობაში პროგრამის შესაბამისად წარმოებდა ხომალდების „სოიუზ-2“-ისა და „სოიუზ-3“-ის მანევრირება (ხელითა და ავტომატური საშუალებებით) და განმეორებითი მიახლოება. მიახლოების შემდეგ ხომალდები გავიდნენ ორბიტებზე, რომელთა პარამეტრებია:

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3-ის ორბიტის პარამეტრებია: დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 88,6 წუთი; მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 252 კილომეტრი; მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 179 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-2“-ის ორბიტის პარამეტრებია: დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 88,4 წუთი; მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 281 კილომეტრი; მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 181 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი.

დღის განმავლობაში მოეწყო ტელევიზიის სეანსები და ნაჩვენები იყო კოსმონავტის მუშაობა. ფრენის პროცესში კოსმონავტი ეწეოდა მეცნიერულ კვლევასა და დაკვირვებას.

კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ ბერეგოვოის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. მაჯისცემის სიხშირეა წუთში 63, სუნთქვის სიხშირე წუთში — 16.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-3“-ისა და „სოიუზ-2“-ის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. წნევა ხომალდ „სოიუზ-3“-ის კაბინაში შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის 785 მილიმეტრს, ტემპერატურა 23 გრადუსია ცელსიუსით.

27 ოქტომბრის 18 საათიდან და 50 წუთიდან 28 ოქტომბრის 4 საათსა და 48 წუთამდე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“ იფრენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ. ამ ხნის განმავლობაში კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი დაისვენებს მომიჯნავე ნაკვეთურში.

მეორე დღეა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“. განვლილ პერიოდში მთლიანად შესრულდა სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტებისა და კვლევის დასახული მოცულობა.

ფრენის დროს ხორციელდებოდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფართო მანევრირება ავტომატური სისტემისა და ხელით მართვის საშუალებით უპილოტო ხომალდ „სოიუზ-2“-თან მიახლოებისას. ხომალდ „სოიუზ-3“-ის ორბიტის შეცვლის მიზნით კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი დამოუკიდებლად აწარმოებდა ხომალდის ორიენტაციას სივრცეში და ბორტის ძრავა-დანადგარის ჩართვას.

დღე-ღამის განმავლობაში კოსმონავტი მფრინავი ოპტიკური ხელსაწყოების დახმარებით და უხელსაწყოებოდ აკვირდებოდა ვარსკვლავიან ცას და დედამიწას, იღებდა დედამიწის ზედაპირის ღრუბლოვანი და თოვლიანი საფარის, აგრეთვე დედამიწის ხილული ჰორიზონტის ფართო სურათებს.

ფრენის დროს მუშაობისა და დასვენების მიღებული რეჟიმის შესაბამისად კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი ჭამდა, ასრულებდა ფიზიკურ ვარჯიშს, გადადიოდა ხომალდის მომიჯნავე ნაკვეთურში და ეძინა იქ შვიდი საათის განმავლობაში.

ამხანაგ ბერეგოვოის მუდმივი რადიოკავშირი ჰქონდა დედამიწასთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს მოახსენა, თუ როგორ მიმდინარეობდა ფრენა და მისალმება გადასცა ჩვენი პლანეტის ხალხებს.

სამედიცინო ტელემეტრიული ინფორმაციის ანალიზმა დაადასტურა, რომ ძირითადი ფიზიოლოგიური ფუნქციები: სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის მდგომარეობა ორბიტაზე გაყვანის უბანზე, უწონობის მდგომარეობაში გადასვლისას და შემდგომი ორბიტული ფრენის დროს გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის კარგი ჰქონდა, ფრენის ფაქტორების მოქმედების ადეკვატური იყო. კოსმონავტის ორგანიზმის შეგუება ფრენის პირობებთან მოკლე დროში დამთავრდა: ელექტროკარდიოგრამა, სეისმოკარდიოგრამა და პნევმოგრამა ნორმალური იყო.

რთული მეცნიერული და ტექნიკური ექსპერიმენტების, ფუნქციურ-გასინჯვათა, რადიოლაპარაკის შესრულების დროს კოსმონავტის მოქმედების, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების პერიოდში მასზე დაკვირვებისას კოსმონავტის საქმიანობის ფსიქოფიზიოლოგიური ანალიზი მოწმობს, რომ კოსმონავტ მფრინავს ამხანაგ ბერეგოვოის არ დაუკარგავს მაღალი შრომისუნარიანობა.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენა გრძელდება. გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი წარმატებით ასრულებს კოსმოსური კვლევის დასახულ პროგრამას. მასთან გვაქვს მუდმივი მყარი რადიოკავშირი.

დღეს, 1968 წლის 28 ოქტომბერს, 4 საათსა და 48 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-3“-მა 29-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და შევიდა შორეული აღმოსავლეთის საზომი პუნქტების რადიოხილვადობის ზონაში.

ამ დროისათვის კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი მომიჯნავე ნაკვეთურიდან, სადაც ეძინა, გადავიდა ხომალდის კაბინაში. კოსმონავტთან მოეწყო რადიოკავშირისა და სატელევიზიო კავშირის სეანსი.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-დან მიღებული მონაცემებით, კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს, ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ფიზიკურ ვარჯიშთა 25-წუთიანი კომპლექსისა და საუზმის შემდეგ კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი შეუდგა ფრენის მესამე დღეღამის პროგრამის შესრულებას.

დღეს, 1968 წლის 28 ოქტომბერს, პროგრამის შესაბამისად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში დაეშვა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-2“. 10 საათსა და 25 წუთზე დედამიწიდან კომანდით „სოიუზ-2“ ხომალდში ჩაირთო სამუხრუჭო ძრავა-დანადგარი. 10 საათსა და 51 წუთზე ხომალდი შემოვიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში, განახორციელა მართული დაშვება აეროდინამიკური თვისებით და დედამიწაზე დაჯდა. ხომალდი დაეშვა პარაშუტით, უკანასკნელ უბანზე გამოყენებული იყო რბილად დაჯდომის სისტემა. კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-2“-ის ფრენის პროცესში მთლიანად შესრულდა ხომალდის სისტემების დახვეწის, აგრეთვე „სოიუზ-2“ და „სოიუზ-3“ ხომალდების ერთად მანევრირებისა და ერთმანეთთან მიახლოების დასახული პროგრამა.

„სოიუზ-3“ ფრენას განაგრძობს. 12 საათისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-3“-მა, რომელსაც კოსმონავტი მფრინავი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი მართავს, 33-ჯერ შემოუარა დედამიწას.

ხომალდის ყველა სისტემა კვლავ ნორმალურად მუშაობს. წნევა და ტემპერატურა გათვალისწინებულ ფარგლებშია. ამხანაგი ბერეგოვოი თავს კარგად გრძნობს. კოსმონავტი განაგრძობდა დაგეგმილ სამეცნიერო ექსპერიმენტებს: დედამიწის ზედაპირის ღრუბლოვანი საფარის ვიზუალურ დაკვირვებას და ვარსკვლავიანი ცის დაკვირვებას. 33-ე გარშემოვლის დროს მან აღმოაჩინა ტყის ხანძრის სამი კერა, ეკვატორის რაიონში მკაფიოდ დაინახა ჰექა-ქუხილის მოვლენები. კოსმონავტთან მყარი ორმხრივი რადიოკავშირი გვაქვს.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენა გრძელდება.

დღეს, 1968 წლის 28 ოქტომბერს 12 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის 34-ე გარშემოვლის დროს კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ბერეგოვოიმ მოაწყო მორიგი სატელევიზიო რეპორტაჟი კოსმოსური ხომალდიდან „სოიუზ-3“.

მილიონობით ტელემაყურებელმა მოისმინა კოსმონავტის საფუძვლიანი საუბარი ხომალდის კაბინისა და მეცნიერული კვლევისა და დასვენებისათვის განკუთვნილი მომიჯნავე ნაკვეთურის მოწყობილობის შესახებ. ტელემაყურებლებმა ნახეს კაბინის შინაგანი მოწყობილობა, მართვის პულტები, რომელთა საშუალებით კოსმონავტი მართავს ხომალდს, მართვის სახელურების, ხელსაწყოებისა და ილუმინატორების მდებარეობა. ბევრი ილუმინატორი კარგ პირობებს უქმნის კოსმონავტს დაკვირვებისათვის.

კოსმონავტმა ტელემაყურებლებს უჩვენა უწონობა — ხელიდან გაუშვა მოძრავი სატელევიზიო კამერა, რომელიც თავისუფლად ცურავდა კაბინაში. ამ სატელევიზიო კამერის საშუალებით ტელემაყურებლებმა ნახეს ის, რასაც კოსმონავტი ხედავს ფრენის დროს კოსმოსური ხომალდის ილუმინატორებიდან: დედამიწა ნაპირებისა და ზღვების მოხაზულობით, ღრუბელთ საფარი.

კოსმონავტი ბერეგოვოი განაგრძობს სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერიმენტებს, ამუშავებს მართვის საბორტო სისტემებს, სიცოცხლის უზრუნველყოფისა და თერმორეგულირების სისტემებს.

გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.



მილიონობით ტელემაყურებელი თავიანთი ტელევიზორების ეკრანებზე უყურებდა გადმოცემას კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-დან. ამ კადრშია კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი გ. ტ. ბერეგოვოი კოსმოსური ხომალდის კაბინაში.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოსი.

## გ. ტ. ბერეგოვოის განცხადება სტარტის წინ

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-ის სტარტის წინ კოსმონავტმა მფრინავმა გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოიმ განაცხადა:

„ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

კოსმოსის შტურმი წარმატებით გრძელდება. განხორციელდა საბჭოთა თანამგზავრების ავტომატური შეპირაპირება დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე. შესრულდა კოსმოსური სადგურების „ვენერა-4“-ისა და „ზონდ-5“-ის ისტორიული გაფრენები. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს ახალი თვალსაჩინო მიღწევები კოსმოსის კვლევაში ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შემართებისა და გმირული შრომის შედეგია.

მე დიდი ნდობა გამომიცხადეს — შევასრულო ფრენა კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-ით. ახალი კოსმოსური გაფრენა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავის წინ. და ჩვენ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ვუძღვნით. მზად ვარ შევასრულო სამშობლოს საპატიო დავალება. პირობას ვაძლევ ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ხალხს, რომ მთელ ძალებსა და ცოდნას მოვახმარ დაკისრებული პასუხსაგები ამოცანების შესრულებას.

მალე შეხვედრამდე მშობლიურ მიწაზე, ძვირფასო მეგობრებო!

(საქდესი).



სურათზე: საბჭოთა კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირ პოლკოვნიკ ბერეგოვოის ოჯახი — ცოლი ლიდია მათეს ასული, გიორგი ტიმოთეს-ძე, ქალიშვილი ლიუდმილა და ვაჟი ვიქტორი.

ფოტო ქ. ჩერედინცევისა.

(საქდესი).

## ტელერეპორტაჟი კოსმოსური ორბიტიდან

სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ 27 ოქტომბერს რამდენჯერმე გადასცა პირდაპირი რეპორტაჟი კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-დან. მილიონობით ტელემაყურებელმა ცისფერ ეკრანებზე ნახა კოსმონავტი მფრინავი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი, რომელიც წარმატებით განაგრძობს ფრენას კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-ით.

...კოსმონავტი სინჯავს ჩანაწერებს... ლაპარაკობს რადიოთი... მხნედ არის, კარგ გუნებაზეა. დაუვიწყარი კადრებია.

თანამგზავრზე დადგმულმა კამერებმა შესაძლებლობა მისცა მაყურებლებს ენახათ კოსმონავტი ხომალდის კაბინაში, მისი მუშაობის პირობები, პილოტის კაბინის მოწყობილობა. დიდმა სიზუსტემ უზრუნველყო გამოსახულების ჩინებული ხარისხი.

ხომალდ „სოიუზ-3“-დან პირდაპირი რეპორტაჟები ტრანსლირებული იყო ცენტრალური ტელევიზიის მთელი სისტემით, გადაიცა კავშირის თანამგზავრ „მოლნია-1“-ის საშუალებით და საზღვარგარეთის მთელმა რიგმა ქვეყნებმა მიიღეს ინტერვიზიისა და ევროვიზიის სისტემით. (საქდესი).

# მსოფლიო აღფრთოვანებულია

### უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის წარმატებითი ფრენის გამო

#### მონღოლეთი

ულან-ბატორი, 28 ოქტომბერი. (საქდესი). საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის წარმატებით ფრენა, რომელსაც კოსმონავტი მფრინავი გ. ტ. ბერეგოვოი მართავს, კვლავ მთელი მონღოლი ხალხის ყურადღების ცენტრშია.

საბჭოთა კავშირის ახალი გამარჯვება კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში მონღოლეთის საზოგადოებრიობას მიაჩნია მოვლენად, რომელმაც ცხადყო მსოფლიოში პირველი სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევები.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია ამ დღეებში დიდ ყურადღებას უთმობენ ცნობებს საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფად განვითარების შესახებ.

ის გარემოება, წერს დღეს გაზეთი „უნენი“, რომ კოსმონავტი გ. ტ. ბერეგოვოი ხომალდის მართვისას თავისუფლად აწარმოებს მანევრირებას, მჭიდროდ უახლოვდება მეორე ხომალდს — „სოიუზ-2-ს“ და წარმატებით ასრულებს მეცნიერული კვლევის პროგრამას, აგრეთვე რომ თავს კარგად გრძნობს, გულწრფელად ახარებს მონღოლეთის მშრომელებს.

#### იუგოსლავია

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. (საქდესი). ბელგრადის გაზეთები კვლავ პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ფრენას განაგრძობს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“. „პოლიტიკა“ წერს, რომ „სოიუზ-3“ განაგრძობს ფრენას და რომ შესრულებულია პირველი დღის დავალება. „ბორბა“ ყურადღებას უთმობს იმას, რომ ახალ საბჭოთა კოსმოსურ ხომალდს აქვს სპეციალური ნაკვეთური, რომელიც დასვენებისათვის არის განკუთვნილი, და რომ კოსმონავტს მთელ ღამეს ეძინა ამ ნაკვეთურში. ეს, ხაზს უსვამს გაზეთი, იმის დამადასტურებელია, რომ ხომალდი უზარმაზარი ზომისაა.

გაზეთები დაწვრილებით აღწერენ აგრეთვე პირდაპირ სატელევიზიო გადაცემას კოსმოსიდან, რომელიც ტრანსლირებული იყო მოსკოვის ტელევიზიით.

#### საფრანგეთი

პარიზი, 28 ოქტომბერი. (საქდესი). პარიზის ყველა გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს მასალებს, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-3“-ის და „სოიუზ-2“-ის ფრენას. გაზეთები ბეჭდავენ „სოიუზ-3“-ის ხომალდის პილოტის კოსმონავტი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ გ. ტ. ბერეგოვოის პორტრეტებს, აგრეთვე სტარტის წინ კოსმოსური ხომალდის ფოტოსურათს.

გაზეთების მიმომხილველნი ხაზს უსვამენ, რომ „სოიუზ-3“ გაცილებით უფრო კომფორტულია, ვიდრე ამერიკის კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-7“, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა ფრენა, გაზეთი „ორორი“ წერს, რომ, როგორც კოსმოსიდან მოწყობილი ტელეგადაცემებიდან ჩანს, ამ კოსმოსური ხომალდით ფრენა შეეძლო სამ, „იქნება ექვს“ კოსმონავტსაც. „ოროთახიან“ კოსმოსურ ხომალდს უწოდებს „სოიუზ-3“-ს გაზეთი „ლუმანიტე“.

პრესა აღნიშნავს, რომ ახალი საბჭოთა კოსმონავტი გ. ბერეგოვოი ყველაზე უფროსია საბჭოთა კოსმონავტებს შორის, რომლებიც აქამდე ყოფილან კოსმოსში. მაგრამ, ასაკის მიუხედავად, წერს გაზეთი „პარიჟური“, „მას ჭაბუკის გული აქვს“.

„პირველი ორი დღის ფრენის გეგმა 100 პროცენტით შესრულდა“, — იუწყება გაზეთი „ლუმანიტე“.

#### აშშ

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოთა მოსკოველი კორესპონდენტები კვლავ აშუქებენ, თუ როგორ მიმდინარეობს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენა, რომელსაც გიორგი ბერეგოვოი მართავს. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ფრენის მეორე დღეს განხორციელდა ხომალდის ფართო მანევრირება როგორც ავტომატურად, ისე თვით კოსმონავტის ხელით. შემდეგ იუწყებიან, რომ მოეწყო რამდენიმე პირდაპირი ტელეგადაცემა ხომალდიდან: ტელემაყურებლებმა ნახეს, როგორ ავსებს ბერეგოვოი ბორტის ჟურნალს და ასრულებს ფრენის პროგრამით დადგენილ სხვა ამოცანებს; მათ ნახეს აგრეთვე დედამიწის ზედაპირი 200 კილომეტრი სიმაღლიდან და დღისა და ღამის სინათლის საზღვარი.

#### ბრაზილია

რიო-დე-ჟანეირო, 28 ოქტომბერი. (საქდესი) უპილოტო კოსმოსურ ხომალდი „სოიუზ-2“-ს და გიორგი ბერეგოვოის მიერ პილოტირებული ხომალდის გაშვება საბჭოთა კავშირში ნომერი ერთი ახალი ამბავია ბრაზილიის პრესაში. გაზეთებმა დაწვრილებით გამოაქვეყნეს შინაარსი საქდესის ცნობისა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების გაშვებისა და ფრენის შესახებ.

ერთ-ერთი უდიდესი ბრაზილიური გაზეთი „ჟორნალ დო ბრაზილი“ მთელ გვერდს უთმობს მასალებს ახალი საბჭოთა კოსმოსური მიღწევის შესახებ.

„ჟორნალ დო კომერსიო“ აღნიშნავს „პილოტირებული და უპილოტო ხომალდების კოსმოსში პირველი შეხვედრის წარმატებას“.

„კორეიო და მანია“ თავის მკითხველებს ატყობინებს, რომ საბჭოთა კავშირში გაშვებულია კოსმოსური ხომალდები, ბეჭდავს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მისასალმებელ დეპეშებს კოსმონავტ ბერეგოვოისადმი და კოსმონავტის რადიოგრამებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

გაზეთები გულთბილად წერენ ახალ საბჭოთა კოსმონავტ ბერეგოვოიზე. „მეორე მსოფლიო ომის გმირმა, — წერს „ჟორნალ დო ბრაზილი“, ახალი გმირობა მოახდინა“.

პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილია კოსმონავტი გიორგი ბერეგოვოი, აგრეთვე საბჭოთა ადამიანების ჯგუფების ფოტოსურათები, რომლებიც ტაშს უკრავენ ახალ გმირობას.

**საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი**

# პარტიას, სამშობლოს უფრო დიდ საქმეებს გვპირდება კომკავშირი

(დასასრული)

რომ ერთნი და განუყოფელნი არიან სვებედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში, რომ ძმურ დაახლოებასა და სოლიდარობას ხელს უწყობს კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი. საქართველოს კომკავშირის წარგზავნილებმა ამ ფესტივალზე თავი ისახელეს და ყველაფერი გააკეთეს საბჭოთა დელეგაციის წარმატებისათვის.

რევოლუცია ახლაც გრძელდება, აღნიშნავს მომხსენებელი. ბედნიერებაა, რომ დღეს არ არის საჭირო სამშობლოს თავისუფლებისათვის იარაღის ხელში აღება. ბედნიერებაა, რომ გმირობის გამოჩენა შეიძლება მხოლოდ სწავლაში, შრომაში, ხალხისათვის სამსახურში. ბედნიერებაა, რომ ახალგაზრდობა თვითონვე სჭედს თავის ბედნიერ მომავალს. მაგრამ თუ კი საჭირო იქნება, საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები უყოყმანოდ აღსდგებიან სამშობლოს დასაცავად, უყოყმანოდ თავს გასწირავენ მისთვის, ამის გარანტიაა ის პატრიოტული სულისკვეთება, ის დიდი აღმაფრენა, ის დიდი შეგნება და იდეური რწმენა, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი თანამედროვე, ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის.

დიახ, დღეს შრომობს და იბრძვის ახალგაზრდა რევოლუციონერთა ახალი თაობა — კორჩაგინების, ძნელაძეების, მატროსოვების უმცროსი ძმებისა და დების თაობა. ამიტომ ვამბობთ — რევოლუცია დღესაც გრძელდება, თაობათა ესტაფეტა დღესაც გრძელდება.

თაობის სახეა მისი საქმეები. ქართველი ახალგაზრდობის დღევანდელი თაობა პირნათელია თავისი საქმეებით მომავალი თაობების წინაშე. ენგურჰესი—გამოძახილია რიონჰესისა, რუსთავის ქიმიური კომბინატი გვაგონებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე რომ ვშრომობთ, თვალწინ კოლხეთისათვის ბრძოლა გვესახება.

ასე იყო და ასე არის დღესაც. ასე იქნება მარად. ამის შეგნება არის ჩვენი სიამაყე. იგი არის ჩვენი, სამოციანელთა კომკავშირული თაობის პასუხისმგებლობა პარტიის, სამშობლოს, ხალხის წინაშე.

ისტორია შემოინახავს 60-იანი წლების კომკავშირელთა ვაჟკაცობის მაგალითებს. ისტორია იტყვის, თუ როგორ ასრულებს ჩვენი ახალგაზრდობა ლენინის ანდერძს, როგორ ამართლებს მის სახელს, რომელიც კომკავშირმა მიიღო.

დასასრულ ამხ. მეტრეველმა საქართველოს კომკავშირელთა სახელით, რესპუბლიკის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით შეჰფიცა კომუნისტურ პარტიას, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომ საქართველოს ახალგაზრდობა კვლავაც ერთგული იქნება რევოლუციის დიადი საქმისა.

მომხსენებელმა დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა ხალხს, რომელიც აშენებს კომუნიზმს, იბრძვის მშვიდობისა და მშრომელთა ბედნიერებისათვის, ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

★ ★ ★

**საზეიმო** პლენუმის მონაწილეებს სამოციანი წლების კომკავშირელთა სახელით, რესპუბლიკის დედაქალაქის ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახელით მხურვალედ მიესალმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. დ. გაბუნია**.

ლენინის ანდერძის ერთგული 60-იანი წლების კომკავშირლები და ახალგაზრდობა, თქვა მან, წმიდად იცავენ და ამრავლებენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, თავდადებით შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული დიდებული ამოცანების გადასაწყვეტად.

მართალია, ჩვენ თაობას არ უგია ამურის კომსომოლსკი, არც პავლიკ მოროზოვისა და ზოიას გმირ დაგვიდვია ფიცი „სისხლისსისხლისა წილ", არც კორჩაგინივით ჩავჭრილვართ წელამდე თოვლში. სამაგიეროდ ჩვენ სამოციანი წლების კომკავშირელები რევოლუციის საქმეს, პარტიის საქმეს, უფროსი თაობის მიერ დაწყებულ საქმეს ვემსახურებით.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ახალ ბრძმედებში ჩვენი კომკავშირული გულის ცეცხლია, რომ ყამირის ხშირ ყანებში ჩვენი რწმენა და მამაცობაა, უკაცრიელ ადგილას წარმოშობილ ქალაქებში ჩვენი სიყვარულია ადამიანებისადმი, სამეცნიერო ლაბორატორიებში— ჩვენი შემართება და ოცნებაა მომავალზე.

კომკავშირის საიუბილეო წელი თბილისის ახალგაზრდების შრომითი პატაკების, მათი იდეური სიმტკიცის, პარტიის საქმისადმი ერთგულების ნამდვილ დათვალიერებად გადაიქცა. და დღეს სიხარულით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დედაქალაქის ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე.

ორატორმა საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით სიტყვა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ კიდევ უფრო სასახელო საქმეებით გაახარებენ სამშობლოს, ძირს არ დაუშვებენ დიდი ლენინის ნაანდერძევ წითელ დროშას.

ტრიბუნაზეა კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი, სკკპ წევრი 1917 წლიდან **დ. ვ. ლომაძე**. სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში და ერის უანგარო სამსახურში ახალგაზრდობა უძველესი დროიდან მშრომელი ხალხის ისტორიის განუყრელი მონაწილეა. როცა 1917 წელს ხალხთა მასების რისხვამ წალეკა სამასი წლის რომანოვთა დინასტია, იმ დროს ახალგაზრდობას რევოლუციის მატიანეში უკვე ჩაწერილი ჰქონდა თავისი სასახელო ფურცლები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ახალგაზრდობა სიცოცხლის ნაკადად შეუერთდა ამ სახალხო მოძრაობას, ბრძოლის ველზე მხარში ამოუდგა მუშათა კლასს. იღუპებოდნენ მამები და მათ ადგილს იკავებდნენ შვილები. აი რატომ იმარჯვებდა რევოლუცია. მამათა საქმისადმი, მათი ტრადიციებისადმი ერთგულება არის სწორედ დღევანდელი ჩვენი დიადი წარმატებების უცილობელი პირობა. ამხ. ლომაძემ მოუწოდა ახალგაზრდობას კვლავაც მაღლა ეჭიროს დიდი ლენინის დროშა და იბრძოლოს მისი ანდერძის პირნათლად შესრულებისათვის.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილე **თ. ნ. კიაშკო**. მან რესპუბლიკის კომკავშირს გადასცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი, რითაც დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია.

ტრიბუნაზეა ქარხანა „სოხუმელექტროხელსაწყოს" მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **თ. მ. ოტირბა**. იგი რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის სახელით მიესალმა საზეიმო პლენუმის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ დღევანდელი საქართველოს მუშათა კლასი ღირსეულად აგრძელებს უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს. იმაზე, თუ რაოდენ ერთგულები არიან რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები მამებისა და უფროსი ძმების სახელოვანი შრომითი ტრადიციებისა, ნათლად მეტყველებენ ახალგაზრდობის შრომითი საქმეები კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. დაე იცოდნენ ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, რომ სამოციანი წლების მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობა დაუღალავად იბრძოლებს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ნაანდერძევი საქმის განხორციელებაში, კომუნიზმის ნათელი მომავლის მშენებლობაში.

დარბაზში შეკრებილთ და მათი სახით მთელ ქართველ ახალგაზრდობას მხურვალედ მიესალმა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი **მიშელ ჟუე**.

სიტყვას ამბობს ოციანი წლების კომკავშირელთა წარმომადგენელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. დ. კუპრაძე**. იმ შორეულ წლებში, თქვა მან, როცა საქართველოს კომკავშირი პირველ ნაბიჯებს დგამდა, როცა ყოველდღიური ცხოვრება აღსავსე იყო მრავალმხრივი პრაქტიკული საქმეებით და საბრძოლო ამოცანებით, ჩვენ მაინც გვრჩებოდა დრო გვეოცნება იმაზე, თუ როგორი იქნებოდა სოციალისტური სამშობლო ორმოცდაათი წლის შემდეგ. ჩვენ ხალხს დღეს ჭეშმარიტად აქვს საფუძველი აღივსოს დიდი კმაყოფილების გრძნობით სამშობლოს არნახული აღორძინებისა და აყვავების გამო. აქვს საფუძველი იამაყოს თავისი ახალგაზრდობით მისი კომკავშირით. კომკავშირის ისტორია საბჭოთა ხალხის გმირული ბიოგრაფიის ყველაზე წარმტაც ფურცლებს მიეკუთვნება. არის რაღაც საოცარი, ურღვევი ერთიანობა კომკავშირელთა ყველა თაობის იდეალს შორის. სამხედრო კომუნიზმის და სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის კომკავშირული თაობის იდეალებს აიღებთ თუ გიგანტურ მშენებლობებზე ახალგაზრდობის მასობრივი ლაშქრობის თაობის ლოზუნგებს, კრასნოდონელთა უკვდავ გმირობაზე ფიქრობთ, თუ სამოციანი წლების, კოსმოსური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანის საოცარ წინ გაჭრაზე მეცნიერების მწვერვალებისაკენ, ყველგან ხედავთ ამ ერთიანობის კვალსა და გამოვლინებას, თაობათა კავშირისა და მემკვიდრეობრივი ტრადიციების ამ მშვენიერ ძალას. დღეს ჩემი თაობის კომკავშირელებს შეუძლიათ სიამაყით განაცხადონ: დიახ, შესრულდა ის დიდებული ფიცი, რომელიც მისცა ახალგაზრდობამ უკვდავ ლენინს. კომკავშირი ცხოვრობდა, ცხოვრობს და კვლავ იცხოვრებს ლენინის ანდერძით.

საქართველოს კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელით საზეიმო პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ქ. ა. გოგიტიძემ**. იგი სიამაყით ლაპარაკობს აჭარელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების სასახელო შრომითს საქმეებზე წინასაიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში და აღნიშნავს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდებმა კომკავშირის საიუბილეოდ ნაკისრი ყველა ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. მათ სამშობლოს ჩააბარეს 25 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. დიახ, სწორედ ჩვენს სამშობლოში გახდა შრომა პატივისა და დიდების საქმე. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. მე მეამაყება, რომ 20 წლის ასაკში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. რა უნდა იყოს იმაზე აღმაფრთოვანებელი და წამახალისებელი ადამიანისათვის, როგორც დაფასებული შრომა. შრომის სიყვარული და გულმოდგინება, ნებისყოფა და მონდომება, სიმტკიცე, დიადი მიზნებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა, კომკავშირული სიფხიზლე და შემართება, პირობა და სიტყვის შესრულება — აი ის, რაც ახასიათებს დღევანდელ საბჭოთა ახალგაზრდობას.

რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს ღირსშესანიშნავი თარიღი მხურვალედ მიულოცა დასავლეთ ბერლინის თავისუფალი გერმანული ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარემ ვალტერ როდერმა.

პლენუმზე გამოვიდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი სერჟანტი სივოკონი სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დამცველთა სახელით მან აღუთქვა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, რომ მუდამ მზად იქნებიან, რათა მოიგერიონ და შემუსრონ ყოველი აგრესორი, ხელი შეუწყონ საბჭოთა ხალხის ურღვევი ლენინური მეგობრობის განმტკიცებას, სოციალიზმის მონაპოვარს დაიცავენ თვალის ჩინივით.

ტრიბუნაზეა მწერალი ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი **ნ. ვ. დუმბაძე**. იგი ამბობს:

— 1941 წელს, რუსეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში ხუთი უწვერულვაშო პარტიზანი შეიპყრეს, ამ ჭაბუკთა შორის ოთხი კომკავშირელი იყო, ფაშისტების ბრძანებაზე წინ წამდგარიყვნენ კომკავშირელები, სხვებთან ერთად წინ წადგა ისიც, ვინც კომკავშირელი არ იყო. იგი პირველი დაეცა გმირის სიკვდილით, და ალბათ ის იყო პირველი უსახელო ჯარისკაცი, ვის საფლავზეც ახლა მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. ის იყო პირდაპირი შთამომავალი იმ გმირი თაობისა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან დღეებში რომ დაიბადა. 50 წელი იმდენად მცირეა, ისე ცოტაა იმ მზიანი დარის მისაპოვებლად, დღეს რომ უდგას ჩვენს ახალგაზრდობას. მაგრამ დიდი ლენინის საქმისათვის თავდადებულთა დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. დღეს ბედნიერი საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ამხ. დუმბაძემ მოუწოდა ახალგაზრდა თაობას: ვიცოდეთ ბრძოლა ისე, როგორც გვასწავლიდა ლენინი. ვიცოდეთ შრომა ისე, როგორც მოითხოვდა ლენინი. და ვათბობდეთ ადამიანთა გულებს ისე, როგორც ათბობდა ეს მზეზე ნათელი კაცი.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით საზეიმო პლენუმის მონაწილეებს მიესალმა ქალაქ ცხინვალის მეექვსე საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **მ. ა. ქობულოვა**. მან სიტყვა მისცა კომკავშირელთა უფროსი თაობების წარმომადგენლებს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და ხალხს, რომ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა პირნათლად შეასრულებს დიდი ლენინის ანდერძს, იქნება წარჩინებული, რათა უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

— ჩვენ, დღევანდელი სტუდენტები, ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ლენინური კომკავშირის სტიპენდიანტი **ფ. გ. ნინიძე**, გამგრძელებლები ვართ ჩვენი მამებისა და უფროსი ძმების სახელოვანი ტრადიციებისა, იმათი, ვინც ხუთწლედის პირმშოებზე თავდადებული შრომის შემდეგ სამუშაო ტანსაცმლის გაუხდელად მიუსხდებოდნენ ხოლმე მერხებს და შეუპოვრად მიიკვლევდნენ გზას მეცნიერების მწვერვალებისაკენ. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სასწავლებლები ახალგაზრდა სპეციალისტ-პატრიოტთა თავისებურ სამჭედლოდ იქცა. კომუნისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე, როცა გამწვავდა ბრძოლა კომუნისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს შორის, ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგაზრდობის, კერძოდ სტუდენტობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მათი მარქსისტულ ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს. ჩვენ გვაკისრია მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — დაეუფლოთ მეცნიერებას, ვიმუშაოთ მომავლისათვის. ჩვენ გველიან აუდიტორიები კლასები. მშენებლობები, მინდვრები, ლაბორატორიები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ვიბრძოლოთ მარქსისტულ-ლენინური იდეების, კომუნისტური მორალის დასამკვიდრებლად. დაე სჯეროდეთ ჩვენს მომავალ თაობებს, რომ ქართველი სტუდენტები ყველაფერს გააკეთებენ ამ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ტაშის გრიალში საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

საზეიმო პლენუმი დახურულად ცხადდება.

საზეიმო პლენუმის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მღერიან „ინტერნაციონალს". გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, საბჭოთა ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის პატივსაცემად.

(საქინფორმი).

## კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## ერთი მათგანი

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პოემა „ერთი მათგანი" 1928 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში". პოემა გვიხატავდა ახალგაზრდა ღარიბი კაცის ცხოვრების ამბავს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ პოემის ეპილოგს.

ქვეყნის გაჩენის დღეა პირველი
თუ ყველაფერი მხოლოდ მესიზმრა!
მომცეს ბილეთი კომკავშირელის,
ბილეთი ჩემი გადარჩენისა...

ჩემო ხარაზო, გაყინულ ბინდში
გახსოვს ფურნესთან გრძელი კუდები,
გამაღვიძებდი და პურის რიგში
ჩუმად, ჯოხივით მიმაყუდებდი.

დავწანწალებდი კარიდან კარად,
ხშირად სადგურში ვათევდი ღამეს.
რა დამავიწყებს გულკეთილ დარაჯს
და ქუთაისის გაყინულ სკამებს.

ახლა ოთახის მფლობელი გავხდი,
ვხარობ, მაჩუქეს თითქოს ვერსალი.
მთვარის შუქი და ჭრიჭინა ტახტი —
ჩემი ავეჯი მხოლოდ ეს არის!

მეტი არც მინდა! აღარ წყდებიან
ჩემი დღეები დამპალ ძაფივით,
ძველო ჯვარდიავ. ცოტა მრცხვენია
ჩემი ღარიბი ბიოგრაფიის.

მე მხოლოდ ტირში მისვრია თოფი
გამიხვრეტია მუყაოს მახნო.
მე არ მინახავს ჯალათის თოკი
ჩემი გამხდარი კისერის ახლო.

მეტეხის ციხე მე არ მძიძგნიდა
და არც ციმბირის საშინელება.
გამიგონია მხოლოდ წიგნიდან
თქვენი ფილტვების მშრალი ხველება.

თქვენ, არწივებო, თავი გასწირეთ,
არ შეუშინდით სისხლიან ავდარს
როცა სდევნიდნენ ყველა არწივებს
ორთავიანი არწივის გარდა.

მაშ მომიცია, ჰა ჩაიბარე
ჩემი ძალღონე დაუხარჯავი.
შინა და გარეთ, შინა და გარეთ
ის მტერს დახვდება, როგორც ხანჯალი.

კვლავ მეძახიან შენი ფესვები,
ნასახლარების შავი ნაცარი...
მეც შემიძლია ვიყო მთესველი,
ორად ვაქციო ერთი მარცვალი.

მეც შემიძლია რიონის წყალი
გარდავაქციო მზედ და სინათლედ,
ვიწამო შენი სიტყვა და ხმალი
როგორც ყველაზე დიდი სიმართლე.

გზას მინათებდეს შენი მიზანი,
შენი ჭირი და დარდი ვიდარდო —
მეც შემიძლია „ლეკვნი მგლისანი" —
ხუთი გიორგი გამოგიზარდო.

მაშ მომიცია, ახლა წაიღე
ჩემი ძალღონე დაუხარჯავი,
უკან არასდროს ის არ დაიხევს,
როდის იხევდა უკან ხანჯალი!

ქუთაისი.

1928 წელი.

## კომკავშირული დიდების მონუმენტი

ლენინგრადი, 27 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). ფოლადის მასრა, რომელშიც მოთავსებულია ახალგაზრდა ლენინგრადელთა წერილი-მიმართვა მომავალ თაობათა ახალგაზრდობისადმი, ჩადეს დიდებული ძეგლის „გმირ კომკავშირს" საძირკველში. იგი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დღეს ლენინგრადის ერთ-ერთ ახალ მოედანზე, რომელსაც ეწოდა კომკავშირული მოედანი.

კომკავშირის ნახევარი საუკუნის სახელოვან ისტორიაზე, პარტიის საქმისადმი, ლენინიზმის საქმისადმი ჩვენი ქვეყნის მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის ერთგულებაზე ილაპარაკეს მონუმენტის კვარცხლბეკთან მიტინგზე გამოსულებმა სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ი. პოპოვმა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა, სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის ახალგაზრდა მღარავმა ანატოლი ბოიარინოვმა და სხვებმა.

გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნის მელოდია. ზეიმის მონაწილეთა თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი მემორიალური კომპოზიცია. კომპოზიციის ცენტრში დგას რვამეტრიანი ჭაბუკის ფიგურა. ქანდაკება აღმართულია ალისფერი გრანიტის ასტონიან მონოლითზე.

## მამაცობის გზით, მამების ნაკვალევზე

**ძნელი** და საშიში იყო მამების, კომუნიზმის იდეალებისათვის პირველი მებრძოლების, პირველი ქართველი კომკავშირელების გზა. მათი გმირული ბედის მემკვიდრენი ახლა კომუნიზმის უშუალო მშენებლები არიან და მუდამ მადლობით იხსენიებენ იმათ, ვინც საქართველოს კომკავშირის საწყისებთან იდგა.

...თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე საზეიმოდ არის მორთული. აქ თეატრალურ დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის უფროსკლასელები, კომკავშირის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის გმირები და ჩვენი ქვეყნის შრომითი დღეების გმირები, რათა შეეჯამებინათ „მამაცობის გზით" ლაშქრობის შედეგები.

უფროსკლასელთა რესპუბლიკური შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მეტრეველმა.

„მამაცობის გზით" ლაშქრობის შედეგებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ.

ლაშქრობის სხვადასხვა ეტაპზე, საინტერესო ძიებებსა და ნაპოვნზე ილაპარაკეს „მამაცობის გზით" ლაშქრობის უშუალო მონაწილეებმა და იმ გმირული დღეების ცოცხალმა მოწმეებმა.

შეკრებაზე გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკი, კომკავშირის ვეტერანი ვ. კაკარავა, ფოთის № 1 სკოლის მოსწავლე დ. ნიკოლაიშვილი, კოლექტივიზაციის აქტიური მონაწილე ა. სარჯველაძე, თბილისის № 119 სკოლის მოსწავლე მ. ჭავჭანიძე, თბილისის № 118 სკოლის მოსწავლე მ. ფანოზიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე ი. ციციშვილი, ცხინვალის № 7 სკოლის მოსწავლე ლ. გალეგაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ა. ძამაშვილი, ერევნის საშუალო სკოლის მოსწავლე ფ. მიქაელიანი, რუსთავის № 5 სკოლის მოსწავლე გ. ცინცაბაძე, სოციალისტური შრომის გმირი, უფროსი აგრონომი ნ. ჭელებაძე, ზუგდიდის № 2 სკოლის მოსწავლე რ. ზარანდია.

რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს აჩვენეს ფილმი „გმირ ქალაქებში" სადაც იყვნენ უფროსკლასელები. კიევი და მინსკი, ბრესტი და მოსკოვი. აქ, ამ ქალაქებში, მათ შეკრიბეს საინტერესო მასალები, ქართველმა მოსწავლეებმა და უფროსკლასელებმა მეგობრობა დაამყარეს გმირი ქალაქის მოსწავლეებთან და უფროსკლასელებთან.

შეკრებაზე მიიღეს აჭარელ მოსწავლეთა მიმართვა, მიძღვნილი დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისადმი.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა უფროსკლასელთა მეჯლისი. (საქინფორმი).

### ოლიმპიადის ფინიში

## უკანასკნელი სტარტები

1968 MEXICO

**ოლიმპიადის** უკანასკნელისწინა დღეს — 26 ოქტომბერს ჩვენს ფრენბურთელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. ისინი ორჯერ ავიდნენ გამარჯვების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ქალთა გუნდმა დაამარცხა ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონი — იაპონიის ნაკრები 3:1 (15:10, 16.14, 3:15, 15:9), ხოლო ვაჟთა გუნდმა — ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელთა კოლექტივი 3:0 (15:7, 15:3, 15:8).

**მედლების** უხვი მოსავალი ჰქონდათ ჩვენს ტანმოვარჯიშე ვაჟებს. მათ შორის ყველაზე მეტი წარმატება მ. ვორონინს ხვდა — ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. მან გაიმარჯვა ბრჯენით ხტომაში, პირველი და მეორე ადგილები გაიყო ღერძზე ვარჯიშში იაპონელ აკინორი ნაკაიამასთან. ს. დიომიდოვი მესამე იყო ბრჯენით ხტომებში. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა აგრეთვე ვ. კლიმენკომ ორძელზე ვარჯიშში.

სამი ოქროს მედალი ხვდა იაპონელ ა. ნაკაიამას — ღერძი, რგოლები, ორძელი. ისევე როგორც ტოკიოში, მეხიკოშიც ტაიჭზე ვარჯიშში უძლიერესი იყო იუგოსლავი მიროსლავ ცერარი, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა ოლიმპიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა სავაო კატომ.

**ჩვენი** თანამემამულე, მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რომან რურუა (ქვემსუბუქი წონა) მეხიკოს გმირად იქნა აღიარებული. იგი საბჭოთა კლასიკური მოჭიდავეებიდან ერთადერთი იყო, რომელმაც ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. გამარჯვების აღსანიშნავად „პისტაკიელოს" დარბაზში ჟღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მძიმე წონის ლენინგრადელი ა. როშჩინი, ისევე როგორც ტოკიოში, დამარცხდა უნგრელ გიგანტთან ი. კოზმასთან (150 კილოგრამი) შეხვედრაში და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ აგრეთვე ვ. ბაკულინი (უმჩატესი წონა), ვ. ოლეინიკი (საშუალო წონა) და ნ. იაკოვენკო (ქვემსუბუქი წონა). ბრინჯაოს მედალი ხვდა ი. კოჩერგინს (მჩატე წონა).

**ასპარეზობის** უკანასკნელ დღეს ამერიკელმა მცურავებმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 3 წუთი და 54,9 წამი. ქალთა ესტაფეტაშიც ამავე დისტანციაზე (თავისუფალი სტილით) უძლიერესი იყვნენ ამერიკელები — 4.02,5. 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშთან პირველი მივიდა მ. ბარტონი (ამერიკის შეერთებული შტატები) — 16.38,9.

**კოშკიდან** წყალში ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა იტალიელი კლაუს დიბიასი — 164,18 ქულა. ჩვენს მხტომელებს წარმატება არ ჰქონიათ. სსრ კავშირის ჩემპიონი მ. საფონოვი მხოლოდ მეცხრე იყო.

**წყალბურთში** იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩის ბედი გადაწყვიტა დამატებითმა დრომ (ძირითადი დრო დამთავრდა 11:11). გაიმარჯვეს იუგოსლავებმა 13:11. საბჭოთა წყალბურთელებს ვერცხლის მედლები გადაეცათ. მესამე ადგილი უნგრელებმა დაიკავეს.

**ჩვენი** მოკრივეები მექსიკიდან სამშობლოში ჩამოიტანენ 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალს. ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს ვალერი სოკოლოვმა, ბორის ლაგუტინმა და დან პოზნიაკმა. საბჭოთა მძიმე წონის მოკრივე იონას ჩეპულისი დამარცხდა ამერიკელ ჯ. ფორმენთან შეხვედრაში და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი გადაეცა აგრეთვე ა. კისელიოვს. ბრინჯაოს მედალი ხვდა ვ. მუსალიმოვს.

**მოხდა** ისე, რომ ფეხბურთელთა ფინალურ მატჩში ერთი გუნდიდან სამი მოთამაშე გააძევეს მოედნიდან, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ეს მოუვიდა ბულგარეთის გუნდს უნგრელებთან შეხვედრაში. გაიმარჯვეს უნგრელებმა 4:1. მესამე ადგილზე გამოვიდა იაპონიის გუნდი.

**ბალახის** ჰოკეიში წარმატება პაკისტანის გუნდს ხვდა.

**გუშინ** მეხიკოში საზეიმოდ დაიხურა XIX ოლიმპიადა.



რ. რურუა.

## ჭადრაკის მერიდიანებზე

### დასკვნითი ტურნირი

**ლუგანოში** დაიწყო ჭადრაკში მსოფლიო ოლიმპიადის დასკვნითი ტურნირი.

სტარტზე საბჭოთა მოჭადრაკეებს პაექრობა ჰქონდათ ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან და გაიმარჯვეს 3:1, 2,5:0,5.

წინ არის სსრ კავშირის გუნდი — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია (გათვალისწინებულია ნახევარფინალის შედეგი).

### ლიდერობს კონოპლიოვა

**აშხაბადში** ფინიშს უახლოვდება ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი.

მეთექვსმეტე ტურში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ალექსანდრია დამარცხდა სკეგინასთან შეხვედრაში. გურფინკელმა მოუგო სტაჩენკოს, კონოპლიოვაგოლოვეისა და რუსინკევიჩ-ესტერკინას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლიდერობას ინარჩუნებს კონოპლიოვა, რომელსაც 16-დან 11,5 ქულა აქვს.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**29 ოქტომბერი**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.20. — კინოპროგრამა, 12.00 — პიონერთა საზეიმო პარადის რეპორტაჟი ლენინის მოედნიდან, 15.30 — გადაცემათა პროგრამა, 15.35 — „ნაბიჯს ვუსწორებთ კომკავშირს". მოსკოვის პიონერიის პატაკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50—ახალგაზრდობის მანიფესტაცია, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი (რეპორტაჟი წითელი მოედნიდან), 17.10 — დოკუმენტური ფილმი, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მოთხრობები ლენინურ კომკავშირზე". 2. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 19.00 — გადაცემა „კვლავ ხალხის სამსახურში", 19.10 — კინონარკვევი, 19.20— განცხადებები, 19.25 — გადაცემა „სპორტული სვანეთი", 20.10 — მხატვრული ფილმი „ექიმი ვერა", 21.45 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 20.05 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.10 — ეთერშია „ახალგაზრდობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.30 — „მხოლოდ ფაქტები" (გადმოცემა მოსკოვიდან).

### რადიო

**30 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ბ. კვერნაძე. ქორეოგრაფიული პოემა „სერაფიტა", 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 12.30 — რადიონარკვევი „ახალგაზრდა მეცნიერი", 12.45 — გ. ყანჩელი. საესტრადო პიესები, 13.40 — ოსური სიმღერები, 15.30 — „მეგობრების ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ყარა ყარაევი. სიმებიანი კვარტეტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.00—უკანასკნელი ცნობები. 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 19.00 — ციკლიდან „მოწინავე გამოცდილების სკოლა". საუბარი „ვაზის სიმეჩხრის აღმოფხვრა მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსავლიანობას", 19.15 — საესტრადო კონცერტი, 19.30—უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთო და კოტედან", 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი, ბაქო, ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — საუბარი. „ალექსანდრე თაყაიშვილი" (დაბადების 70 წლისთავის გამო), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ო. თაქთაქიშვილი, კამერული ნაწარმოებები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### თეატრები

**29 ოქტომბერი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ევგენი ონეგინი (მე-6 აბონ. მე-8 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სეილემის პროცესი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება, თოჯინების ქართული — წითელქუდიანთა ბელადი (დღის 11 და 1 ს.).

### საქინფორმის გასწორება

**გაზეთ** „კომუნისტის" ამა წლის 26 ოქტომბრის ნომერში მესამე გვერდზე მასალაში „ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა" მესამე სვეტის ქვემოდან მესამე-მეოთხე სტრიქონები უნდა იკითხებოდეს:

ლატვიის სსრ დაუგავპილსის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99 66-10, განყოფილებების: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55-01, ინფორმაციის — 93-16 90, წერილების 99 78-24, ილუსტრაციის — 93 28 54 განცხადებების — 93 93-96. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები